წელიწადი მეორე — ფასი 7 კაპ. — სამშაბათი, 13 ქრისტეშობისთვე 1916 წ. № 278

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ელირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ელირ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

მიიღება ხელი

ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

1917 წ. წელიწადი მესამე

„საქართველო“

1917 წ. წელიწადი მესამე

ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით

გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურს ცხოვრებას: გაჭრობა-მრეწველობის, სასოფლო მეურნეობის წარმატებას, საპროფესიო და სატეხნიკო ცოდნათა გავრცელებას.

გაზეთს საკუთარი კორესპონდენტები ჰყავს საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებსა და სოფლებში და აგრეთვე პეტროგრადსა და მოსკოვში.

გაზეთში უახლოეს თანამშრომლობას ეწევიან:

ავ. აბესაძე, ი. აბულაძე, ა. ახათიანი, ალ. ახმეტელი, ვ. ბარნოვი, გ. გორდეზიანი, გ. გვაზავა, ს. გორგაძე, ვ. გუნია, განდეგილი, ეკ. გაბაშვილისა, რ. გაბაშვილი, შალვა დადიანი, ზ. ედილი, ი. ვართაგავა, გრ. ვეშაპელი, ეკ. თაყაიშვილი, ინ ბანი, პოლ. კარბელაშვილი, დ. კახელი, დ. კასრაძე, ნ. კურდღელაშვილი, პ. ინგოროყვა, ს. კედია, დ. გ. კარიჭაშვილი, იას. ლორთქიფანიძე, Legatus, ი. მაკავარიანი, კ. მაყაშვილი, ტ. მარგველაშვილი, შ. მღვიმელი, მელანია, ნიკო ნიკოლაძე, თედო სახოკია, ტ. ტაბიძე, ი. ფერაძე, პროფ. ა. ცაგარელი, გ. ქიქოძე, სანდრო შანშიაშვილი, ხ. ქვარიანი, ვ. შალიკაშვილი, მ. ჯანაშვილი, ლელი ჯაფარიძე, ზ. ჭიჭინაძე, დ. ჭიაბრიშვილი, ნ. ყიფიანისა, სვ. ყიფიანი.

გაზეთის ფასი: მთელის წლით—15 მან., ნახევარის წლით 9 მან., სამის თვით 5 მან., ერთის თვით ქალაქში 1 მ. 80 კ.

ქალაქ გარეთიდან გაზეთის გაწერა ერთის თვით ფოსტის საშუალებით არ მიიღება.

არა წლიურ ხელის მომწერთათვის გაზეთი თვის პირველ რიცხვიდან იქნება ნაანგარიშევი. წლიურ ხელის მომწერთათვის ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს 7 მან., პირველ მარტისათვის 5 მან. და პირველ ივნისისათვის 3 მან.

ვისაც სურს გაზეთის გაწერა წლიურად, ეს უნდა მოიხსენიოს პირველსავე მოწერის დროს. — რედაქციის [illegible]ი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. — კანტორა ღიაა: დილით 9—3 ს.-მდე. საღამ. 5—7-მდე.

[illegible]აქტორი: სანდრო შანშიაშვილი. გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

მიიღება ყველგან

„ხარფუხის“ საზოგ. კლუბი

ამით აცხადებს წევრთა და კანდიდატთა საყურადღებოდ, რომ უკანასკნელ ვადათ საწევრო გადასახადის შეტანისა 1917 წ. ითვლება 20 ქრისტეშობისთვე 1916 წ.

(2—296—1)

ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)

სამშაბათს, 13 ქრისტეშობისთვეს,

სინემატოგრაფი
სიმფონიური ორკესტრი

სტუმრები საზოგადო წესით. — დასაწყისი საღამოს 8½ ს.

(1—298—1)

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლის

იუმორისტულ ჟურნალ

„ეშმაკის მათრახ“-ზე

ფასი მთელი წლით: 7 მან. ნახევარი წლით 4 მ. სამი თვით 2 მან. თვეში 70 კ. ვისაც უნდა ჟურნალი 1 იანვრიდან მიიღო[illegible], ფული ეხლავე უნდა გამოგზავნოს შემდეგის მისამართით: თბილისი, ფოსტის ყუთი № 96, სილ. თავართქილაძეს.

(უ.)

საბურთალოზე

(საგაბაშვილო თხინვალის აგარაკი)

სამოსახლოეგის მყიდველთა საყურადღებოთ

ჩვენ დავსჭერით და გავჭყიდეთ ადგილები, ძლიერ იაფად საბურთალოზე, რადგანაც ამას გვაიძულებდა გარემოება... მაგრამ მოუხდავათ ამისა, ხვედრი ფული მაინც თავ-თავის ვადაზე არ შემოდის, ამისათვის ერთხელ და უკანასკნელად კიდევ ვაცხადებთ საყოველთაოთ, ვინც მთელი სამოსახლოს ღირებულობის ათი თვის ხვედრს შემოსატანს ფულს არ წარმოადგენს, ამ 1917 წლის პირველ იანვრამდინ, მათ ადგილის დასაკვეთად შემოტანილი ბეიც ალარ დაუბრუნდებათ და დაკვეთილი სამოსახლო ადგილებიც აუცილებლად ჩამოერთმევათ და სხვა პირებზედ დაიყიდება.

ამასთანავე ვაცხადებთ, ვისაც სამოსახლოების შეძენა სურს საბურთალოზედ, 1917 წლის პირველ იანვრიდან ნობრძანდენ იოსებ ნიკოლოზის ძე მერკვილაძესთან (ქვაზვეთის ქუჩა № 5 წიგნის მაღაზია „ცოდნა“ და შეიძინონ დატოვებული ადგილები.

ივანე ზაალის ძე სვანიშვილი, იოსებ ნიკოლოზის ძე მერკვილაძე და სვეტი მიხეილის ძე გაჩეჩილაძე.

(10—418—5)

„სავაჭრო სახლი“ (საწყობი)

ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

იხყიდება პარტიობით ყოველნაირი საგალანტერეინო საძოვნელი: ჩულქეულობა, ქოლგები, თეთრეულობა, ვიშივკები, კოსმეტიკა და სხვა და სხვა ახალმოდის საქონლები ხელმისაცემ ფასებში სხვა და სხვა სოფლის კოოპერატივებისთვის.

(101—წ.)

შემთხვევით იაფად იყიდება

ველოსიპედი

ენფელდის სისტემისა

გონჩარნი ქუჩა № 32.

ექიმი

ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“

შეშხაპუნება

ექიმმა

გ. ჭ. მუსაძემ

მოსკოვში წასვლის გამო ავადმყოფების მიღება შესწყვიტა 28 ქრისტეშობისთვემდის.

ბოლოვანის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

ფარმაციზტის ახალდიდიანისა

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლდას ქ. № 3.

ექიმი

მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე. ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

ექიმი

... გვარჯალაძე

[illegible] და ბავშვთა ხნეულებიან

[illegible]ს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. [illegible]ჭა, № 4, სასტუმრო ვეტ[illegible]ერდით. ტელეფ. 15—00.

... და ამერიკა

[illegible]ზავის [illegible]ემ სწორედ რომ „ფეხი იბოუნა“... ოუსეთისა და მისთა მოკავშირეთა წინასწარმეტყველება გაცრუდა; ამერიკის შტატებმა არა თუ იკისრეს დანიშნულებისა-მებრ გერმანეთის საზავო განცხადების ჩაბარება, არამედ თვითონაც გაერივნენ ამ საქმეში; ამერიკის შეერთებულ სახელმწიფოთა პრეზიდენტად ხელ-ახლად არჩეულმა უილსონმა ოფიციალათ მიჰმართა საფრანგეთის მთავრობას შერიგების წინადადებით.

უილსონის ეპისტოლე აღნიშნავს, ამერიკელთ ეს ომი ისე მკაცრად შეეხო, რომ მათ საგანგებოდ უნდა იზრუნონ თავიანთ ინტერესთა დაცვისთვის, თუ მეომარნი მხოლოდ ომისათვის-და ომობენო; უილსონის აზრით სამშვიდობო კონფერენციისათვის ნიადაგი მომზადდება, თუ ორივე მხარე შერიგების პირობებს განმარტავს; უილსონს იმედი აქვს, ეს პირობები უზრუნველჰყოფს მეომარ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას, მთლიანობას და ერთნაირად მისაღები იქნება მათთვის, რადგან მოპირდაპირეთ ერთი და იგივე ნიშანი ამოუღიათ თვალში:—ყველა ეროვნებათა უფლებათა დაკმაყოფილება და მომავალ ომის თავიდგან აცილება საყოველთაო მშვიდობიანობისათვის საერთაშორისო კავშირის—ლიგის მოწყობითო.

ამერიკის შუამავლობა ბევრს გაოცებს... განა ეს ომი არაა, ამერიკა რომ გაამდიდრა და ააშენა?—ამერიკელებმა ამ ორი წლის განმავლობაში უკვე სამი მილიარდი დოლარი შეიძინეს ევროპისაგან, 650 მილიონის მარტო ოქრო ჩაიბარეს, ორი მილიარდიც გაასესხეს; თვით ჩვენს რუსეთს 120 მილიონის ნისია გამოატანეს... ასეთი გამდიდრება ბოლოს და ბოლოს ამერიკის ეკონომიურ და პოლიტიკურ ბატონობას უქადის ევროპას...

მაგრამ ეროვნული გრძნობა ყველგან ბატონობს; ამერიკაში ოც მილიონზე მეტი გერმანელი სახლობს, რომელთა გული ისევე ტევტონიურადა სცემს, როგორც ბერლინის მკვიდრთა... საპრეზიდენტო არჩევნების დროს ისინი სამხრეთ ამერიკის პლანტატორთა დემოკრატიულ პარტიის დანიშნულს უილსონს მიეშხრნენ და ჩრდილო რესპუბლიკანელების კანდიდატი ჰიუზიც ამიტომ გაშავდა.

გასაოცებელი კი არაა, რომ ბუქურეშტის აღებას უილსონმაც ბერლინში შეწყობილ სათვალეებით შეჰხედა და ამერიკელ გერმანელთა ხათრით მომრიგებელ შუამავლობას კისრულობს,—არამედ გასაოცებელი ისაა, რომ პრეზიდენტის ეპისტოლე საყოველთაო ზავის და საერთაშორისო ლიგის საკითხს ოფიციალ ფეხზე აყენებს.

ეს ის „ლიგა“ გახლავთ, ინგლისის საგარეო მინისტრად ყოფილმა ლორდმა გრეიმ თავის უკანასკნელ საპარლამენტო სიტყვაში რომ ახსენა; ამ დიდის ლიგის წინამორბედი მცირე ლიგა უკვე ერთი წელიწადია მოქმედებს ამერიკის ქალაქ ფილადელფიაში, ნაპრეზიდენტალ ტაფტის თავმჯდომარეობით. ამ ლიგას სახელად League to Enforce Peace ჰქვია, ესე იგი „იძულებითის ზავის კავშირი“. გროსმანის ცნობით, ამ ლიგის დებულებანი ოთხმუხლოვანია; პირველ მუხლის ძალით თუ ხელშეკრულობის დამდებ სახელმწიფოთა შორის ისეთი უფლებრივი დავა ასტყდა, რომ ურთიერთშორის მოლაპარაკებით არ შეიძლება გადასწყდეს, ეს დავა უნდა გადაეცეს უმაღლეს საერთაშორისო ტრიბუნალის სამსჯავროს; მეორე მუხლის ძალით ყოველივე სხვანაირი—არაუფლებრივი დავა მედიატორეთა საბჭოს უნდა გარდაეცეს; მეოთხე მუხლის ძალით ლიგის წევრნი-სახელმწიფონი დროგამოშვებით კონფერენციებს მართავენ, საერთაშორისო ტრიბუნალის თვის საჭირო კანონები რომ შეადგინონ; მესამე მუხლი კი ავალებს სახელმწიფოებს მთელი თავიანთი ეკონომიური და სამხედრო ძალით ერთად წინ აღუდგნენ იმ სახელმწიფოს, რომელიც ომს დაიწყებს, სანამ ტრიბუნალი სადაო საკითხს გაარჩევდეს.

საზავო ლიგის დედა-აზრი ის არის, რომ, სანამ საერთაშორისო ტრიბუნალი საქმეს გაარჩევდეს, ერთი წელი მაინც გაივლის; მანამდის ვნებათა ღელვაც დასცხრება და ომიც თავიდან აცილებული იქნება. ამასთან ერთად, მოისპობა ოფიციალი დიპლომატიის ფარული მოქმედება და ყოველივე სადავო საქმეს ტრიბუნალთან ერთად მთელის ქვეყნის მსჯავრიც დაედება...

საოცნებო უტოპიაა ყოველივე ეს, თუ მყოფადის გამოცხადება?.. საერთაშორისო სამართალს და უფლებას ჩვენ არ უარვყოფთ,—ეს ფაქტია... მაგრამ ისიც ვიცით, რომ ძლიერი სახელმწიფო ყოველთვის არღვევს სუსტ მეზობელთან დადებულ ხელშეკრულებას—ტრაქტატს... ამის მაგალითის საძიებლად ხომ არც შორს წასვლაა საჭირო...

საერთაშორისო კანონი რომ კანონობდეს, მას საერთაშორისო პოლიცია და სატუსაღო უნდა ჰყავდეს ურჩთა დასაშინებლად: საერთაშორისო ტრიბუნალს მთელი საეკზეკუციო კორპუსები და ესკადრებიც დასჭირდება...

ყველა სახელმწიფოებმა, რომ იარაღი აიყარონ, სულ ერთია!—მაშინ ნამდვილი ომი მხოლოდ დაგვიანებულათ დაიწყება, უიარაღო ერი თვით ომის უამს აღიმურვება, როგორც ეს ინგლისმა მოახერხა.

გრეის ცუდათ ჩაუარა საერთაშორისო ლიგის ხსენებამ... რამოდენისამე დღის იქით ლოიდ ჯორჯის ახოვანებას შეეწირა... უილსონი კი იმ ამერიკის შტატების პრეზიდენტია, რომლის წინააღმდეგ საომრად უკვე დამარაგებული იაპონია დიდი ხანია კბილებს ილესავს; იაპონელებს კი ზავის ნანინათი ვერ დააძინებ... ისინი მხოლოდ სისუსტეში ჩამოართმევენ ამერიკელთ ასეთ პროექტის გამოცხადებას...

ომი ყოველთგის იქნება; სანამ ქვეყანაზედ ზოგი ხალხი უფრო ჭკუიანი, განათლებული, შემძლეა, და თან მრავლდება კიდეც, მანამდის ვაი მათის მეზობლების ბრალიცა...

კეთილი და პატიოსანი! მაგრამ დღევანდელ ომის და ზავის საქმეში უილსონის წინადადებას რა გავლენა ექნება? ვგონებთ, რომ ამერიკის ხმა არ დაიკარგება უგამოძახილოდ და მოპირდაპირე სახელმწიფოთა შერიგების პირობების გამორკვევას საძირკველი ჩაეყრება. და თუმცა უილსონი პარიზს ეგბაასება, შესაძლოა, ბერლინი უფრო ადრე გამოეხმაუროს... მაგრამ უილსონი მეტის-მეტად გულსავსეობს, როდესაც ამბობს, მეომარ სახელმწიფოთა პირობების შეთანხმება შეიძლება ისე, რომ ყოველ სახელმწიფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა და მიწა-წყლის მთლიანობა დაცულ იქმნასო... განა გერმანეთი ამას შეჰპირდა ვისმე თავის საზავო განცხადებაში? ავსტრია-უნგრეთის ნოტაში კი პირდაპირ ნათქვამი იყო, რომ გერმანეთ-ავსტრეთ-ბულგარეთ-ოსმალეთის კავშირი უკვე მიღწულ „უპირატესობისაგან“ არასფერს დასთმობს. ამიტომაა ძლიერ სათუო, რომ უილსონის შუა კაცობა ისევე ბედნიერად დასრულდეს, როგორც ეს ხვდა წილად „თეთრი სახლის“ წინანდელ მდგმურს რუზველტს, იმ რუზველტს, ამ თერთმეტ წლის წინად იაპონია და რუსეთი რომ მოარიგა პორტსმუტში.

გრ. ვეშაპელი.

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

დობრუჯში გერმანელთა ჯარს იერიშები მიაქვს იმ რუს-რუმინელთა ლაშქარზე, რომელიც ქ. ისაკჩითან იხევს, უკანასკნელი მდებარეობს მდ. დუნაის მარჯვენა ნაპირზე. მოკავშირეთა ჯარი აქედან ბესარაბიაში გადადის. მოპირდაპირე მას ფეხდაფეხ მისდევს მხოლოდ იმიტომ, რომ ხელი შეუშალოს მდინარის გადალახვას, აქ ჩაკეტოს იგი და დაატყვევოს. არაფერი ვიცით, რა მდგომარეობაშია მოკავშირეთა ჯარების მარცხენა ფრთა მას შემდეგ, რაც მან ბაშკოი და ქ. ბაბადაგი დასცალა, იხევს იგი ქ. ტულჩისკენ, ან და გადადის წმიდა გიორგის კუნძულზე, თუ ჯერაც ისევე ბაშკოის ჩრდილოეთით მდებარე სიმაგრეები უჭირავს. „ფრო მოსალოდნელია, რომ ეს ჯარებიც უკან იხევენ და მდინარის მარცხენა ნაპირზე გადადიან. რაც უნდა იყოს, დღეს დობრუჯის საკითხი უკვე გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს. გერმანელნი და ბულგარელნი რუმინეთის პროვინციას დაეპატრონენ და, ამ რიგად, თავიანთი მარჯვენა ფრთა უზრუნველ ყვეს მოპირდაპირისაგან.

დობრუჯა რუმინეთის სანაპირო პროვინციაა. იგი იწყება მდინარე დუნაის შესართავიდან და გადადის ბულგარეთში. დობრუჯის დაპყრობით გერმანეთმა სრულებით მოწყვიტა რუმინეთი შავს ზღვას და მასთანვე თავისათვის გაიჩინა ბაზა წყალ-ქვეშეთისათვის. არის კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც, ჩვენის აზრით, უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება ბრძოლის ველისათვის. მოპირდაპირეს ჯარების მარჯვენა ფრთა, რაკი იგი დამკვიდრდება მდინარე დუნაის მარჯვენა ნაპირზე, უეჭველია, უზრუნველყოფილი იქნება რუს-რუმინელთა ჯარების იერიშებისაგან და, მაშასადამე, საშუალებაც მიეცემათ ამ პროვინციიდან რეზერვები გადაიყვანონ მდინარის მარცხენა ნაპირზე, სახელდობრ, ქ. ვიზირუს მიდამოებში, საიდანაც უმთავრესად საფრთხე ელის ქ. გალაცს. თუ კი შესძლეს გერმანელებმა გალაცის აღება, მაშინ რუს-რუმინელთა ლაშქარი, იძულებული გახდება დასტოვოს მდინარის დუნაის მარცხენა ნაპირიც და ბესარაბიის შიდა გუბერნიებში გადავიდეს. ძნელი წარმოსადგენია, რომ მოპირდაპირემ პირდაპირ დობრუჯში მოინდომოს მდ. გადალახვა. ნუ დავივიწყებთ, რომ რუს-რუმინელთა ხელშია, ჯერ-ერთი, ცნობილი სიმაგრე იზმაილოვი და მასთანვე ქ. გალაცი. ამ ორ მთავარ სიმაგრეზე დაყრდნობილი მოკავშირენი ყოველთვის ადვილად შესძლებენ გადმოსული მტერი რკინის რკალში მოამწყვდიონ და დაატყვევონ რუმინეთის ოპერაციის მაგალითებიდან ვიცით, თუ რა ძნელია მდ. დუნაის გადალახვა. მაკენზენმა, მიუხედავად იმისა, რომ ჩერნოვოდის ხიდიც კი იგდო ხელში, ვერ გაბედა აქედან დიდ ვლახეთში შეჭრა და ისევე არჩია ზიმნიცას გზა, თუმცა შორი, მაგრამ მაინც ნაკლებ სახიფათო და საზარალო. არავითარი საბუთი გვაქვს ვიფიქროთ დღეს, რომ გენ. ტოშევის არმია ახლა კი პირდაპირ დაიწყებს ან ქ. ისაკჩითან, ან და ქ. ტულჩისთან მდ. გადალახვას.

როგორც ოფიციალ დეპეშებიდან სჩანს, დიდ ვლახეთში, სახელდობრ, ქ. ბუზეოს ჩრდილოეთით და სამხრეთით, სა'ტიკი ბრძოლა დაწყებულა. მოპირდაპირე მრავალი არტილერიის დახმარებით გაშმაგებულ იერიშებით უტევს რუს-რუმინელთა ჯარს. დეპეშაში ნათქვამია, რომ ბრძოლა მთელი დღე სწარმოებდაო. რა შედეგი მოჰყვება ამ ბრძოლას, ორ-სამ დღეში გავიგებთ.

X.

ომის დეპეშები

11 ქრისტეშობისთვე.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. კოლდიჩევის ტბის მიდამოებში, ბარანოვიჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით მტერმა ზარბაზნების სროლა გაახურა შებინდებისას, იმავე დროს ჩვენი თხრილებისაკენ წამოვადნენ თეთრებში გამოწყობილი მოპირდაპის მზვერავი რაზმები, მაგრამ თოფებისა და ტყვიის მფრქვეველების სროლით თავის სანგრებშივე მივაბრუნეთ.

კავკასიის ასპარეზი. გუმიშხანის დასავლეთით 30 ვერსზე, არ-კუნეის მახლობლად, ჩვენმა მზვერავებმა ხელთ იგდეს ტყვეები. ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოპირდაპირე გავდევნეთ ბასტანას ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სოფლიდან.

რუმინეთის ასპარეზი. რიმნიკ-სარატის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით მოპირდაპირემ ჩვენს მოწინავე რაზმებს უკან დაახევინა. ცხარე ბრძოლა იყო რაკოვიჩენის და ვადულ-სორესჩის მიდამოებში. ბერლეჩვანუს მიდამოებში, ჩვენი ერთი როტა ღამე შეიჭრა სოფ. როშიორში, დაახოცა 4 ცხენოსანთა ზარბაზანი და მძინარე ესკადრონიც ამოხოცა. კოკირლეანკიდან წამოსულმა მოპირდაპირის ბათალიონმა ჩვენს როტას ალყა შემოარტყა, მაგრამ ალყა გაარღვია და თან მოკლულ-დაჭრილნიც გამოიტაცა. ვიშანთან შემოგვიტია მოპირდაპირის ქვეითა ჯარის მცირე რაზმმა, სტანკუცოთან კი ცხენოსანთა რაზმმა, მაგრამ სროლით გავფანტეთ.

დობრუჯში ჩვენი ჯარი ჩრდილოეთისაკენ მიიმართება. მოპირდაპირე ფეხდაფეხ მოგვდევს და ჩვენს ზურგის ჯარს ებრძვის.

12 ქრისტეშობისთვე.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. მოპირდაპირემ ზარბაზნები და თოფები დაუშინა ჩვენს ხიდისყურის სიმაგრეს სოფ. ბოლდურთან, მერე პატარა რაზმით იერიში მოიტანა, მაგრამ სროლით გავფანტეთ. მდ. ბისტრიცაზე, სოფ. ლიახოვცეს მიდამოებში, ბოგოროდჩანის სამხრეთით, მოპირდაპირემ ჩვენს სადარაჯოს შემოუტია, მაგრამ ადვილათ მოვიგერიეთ თოფის სროლითა და ხელის ყუმბარებით. სოფელ იაბლონკასთან, ზოლოტვინის დასავლეთით, ჩვენმა მზვერავებმა მოპირდაპირის საველე დარაჯებს ალყა შემოარტყა და რამდენიმე კაცი დაატყვევა. ტყიან კარპატებში, ზარბაზნის დაშენის შემდეგ ჩვენმა ჯარმა მტრის სანგრებზე იერიში მიიტანა მდ. უსაჩის ჩრდილოეთით მდებარე მაღლობებზე და ცხარე, ხელჩართულ ბრძოლის შემდეგ აიღო. აქ ხელთ ვიგდეთ 3 ტყვიის მფრქვეველი, 6 აფიცერი და 100 ჯარისკაცი. ჩვენი ჯარი აღებულ ადგილის სამხრეთ ფერდობებზე მაგრდება.

კავკასიის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა.

რუმინეთის ასპარეზი. ბუზეუს მიდამოებში, კასინისა და ზაბავას ველებშუა, მოპირდაპირე მეედგრად მოქმედებდა. გალბენულსა და დროგულის მიდამოებში მოპირდაპირემ ცხარე სროლა ასტეხა და რამდენჯერმე იერიში მოიტანა ჩვენს ჯარზე. აქ ცხარე ბრძოლამ მთელ დღეს გასტანა. ბატოგუსა და ვიზირუს მიდამოებში მოპირდაპირის მცირე რაზმების იერიში სროლით შევაჩერეთ.

დობრუჯში მოპირდაპირეს იერიშები მოჰქონდა ისაკჩესაკენ უკან დახეულ ჩვენს ჯარზე. იანკას სადგურის მიდამოებში, ბუზეუ-ბრაილოვის ხაზზე, გერმანელების ჰაეროპლანი დაეშვა; აფიცერი—მეთვალყურე და 2 ჯარისკაცი დავატყვევეთ.

11 ქრისტეშობისთვე.

ოდესა. აქ ცნობა მოვიდა, გერმანელები ბუქარესტ-პლოეშტის ხაზზე მაგრდებიან. ტურნასეგერინის გზით აქეთ გადმოუზიდნიათ აუარებელი რკინა-ბეტონი და ეკლიანი მავთული.

ათინა. ლიბერალთა პარტიის ბელადმა ასაჯანყებლად მოუწოდა ხალხს. საბერძნეთის კუნძულებზე ყველგან დასწყვიტეს ტელეგრაფის მავთულები ათინასთან შემაერთებელი, რომლებიც მოპირდაპირის ხელში იყო. გამოაცხადეს დამოუკიდებლობა. საბერძნეთის მთავრობაც ფხიზლად არის. ლიბერალებს ატუსაღებენ, განსაკუთრებით საგარეო საქმეთა სამინისტროში, საიდანაც მოხელეები, თურმე, ყოველ საიდუმლო განკარგულებას უცხოეთის გაზეთებს აწვდიდნენ ხოლმე. გაზეთების აზრით მთავრობა მოკავშირეთა მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს, თუ ზომიერებას არ გადასცდება. მთავრობა პელოპონესში ჯარის გადაყვანას აგვიანებს და მოკავშირეთა მოქმედებას უყურებს. საბერძნეთის გარემოცვა თანდათან მჭიდრო რკალს ემსგავსება. საფრანგეთ-ინგლისის წარმომადგენელნი და ძველ საბერძნეთის ქალაქების მცხოვრებნი სამხედრო გემებზე შეიხიზნენ. რუსეთის დესპანი ავადმყოფობის გამო იძულებულია ათინაში დარჩეს. სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენელნი პირეიში მდგომ გემებზე არიან შეხიზნულნი. მოპირდაპირის საფრენმა 4 ამ თვეს კატერინს გადმოუარა და იძულებული გახდა დაშვებულიყო.

გაზეთები ფრანგ მოსახლეობის წინააღმდეგ ხალხს აქეზებენ. ხალხი ჯერ-ჯერობით მეგობრულად უცქერის რუსებს.

ათინა. ოფიციალი ცნობები გამოამეღავნეს, საიდანაც სჩანს, რომ 18 გიორგობისთვიდან 268 ვენიზელოსელი დაუტუსაღებიათ. ამათგან 91 გაუნთავისუფლებიათ.

იურევი. სახალხო განათლების სამინისტრომ ნება დართო იურევის უნივერსიტეტში საღვთისმეტყველო ფაკულტეტთან დაარსდეს პრაქტიკულ ღვთისმეტყველების კათედრა პოლონურ ენაზე.

ქრისტიანია. ნორვეგიის ორი გემი დაჭღუპეს „ფალკ“-ი და „არონა“. ორივე გემი 3 მილიონ კრონად იყო დაზღვეული.

ქურნალ-გაზეთებიდან

ზავის გარშემო.

გერმანელთა მუქარა.

„კელნიშე ცეიტუნგ“-ი მუქარას უთვლის მოკავშირეებს: თუ ზავზე მოლაპარაკებას არ დაიწყებთ, გერმანეთის ლოზუნგი იქნება: „წყალქვეშებო, ამოქმედდით!“ ამერიკა ვერ გაბედავს ხელი შეგვიშალოს ისეთ მოქმედებაში, რომელიც ჩვენს მოპირდაპირეებს სამშვიდობო მოსალაპარაკებლად ჩაითრევსო.

პასუხის მოლოდინში.

„ბერლ. ტაგბ.“-ის აზრით, სანამ ბერლინში ნამდვილ პასუხს არ მიიღებენ მოკავშირეებისაგან, რაიხსტაგის მოწვევას აზრი არა აქვს.

„კრეუც ცეიტუნგ“-ის აზრით კი რაიხსტაგის მოწვევა ეხლავეა საჭირო, გერმანეთის სამხედრო მიზანთა გასათვალისწინებლად.

საზღვრების საკითხი.

ციურიხის გაზეთი „Weue Zürcher Zeitung“-ი სწერს: გერმანელთა ის ნაწილიც-კი, რომელიც წინააღმდეგია უცხო მიწა-წყლის დასაკუთრებისა, იმ აზრს ადგანან, რომ ყოვლად შეუძლებელია რუსეთ-გერმანეთის მიჯნები წინანდელ ხაზზევე დარჩესო.

კაიზერის მოგზაურობა.

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან; გერმანეთის იმპერატორ ვილჰელმმა სამხრეთ-გერმანეთის მეფეებს ჩამოუარა. იგი ესტუმრა უკვე ბადენის და ვიურტემბერგის დიდ ჰერცოგებს. ამბობენ ეს დარბაზობა მოკავშირეთა მიერ ზავის წინადადებაზე შემოთვლილ უარით არის გამოწვეული და ეხლა ახალ სამოქმედო გეგმას ამზადებენო.

ინგლისი

შობის დღესასწაული.

ინგლისელებს ძალიან უყვართ შობის დღესასწაულები და ამ დღისთვის დიდი სამზადისი აქვთ ხოლმე. ომიანობის გამო ინგლისი ისე მწვავეთ გრძნობს ნივთიერს ხელმოკლეობას, რომ ინგლისელები ამირეებენ ამ საყვარელ ჩვეულებასაც კი უღალატონ და მთელი ხარჯი სამხედრო საქმისათვის გადასდონ. ინგლისელების მხრივ ეს დიდი მსხვერპლია. გაზეთები მოწოდებებს ჰბეჭდავენ ინგლისის საზოგადოების მიმართ, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: თითო ბოთლი შამპანიურის ფასით 100 პატრონა მოვა, ერთ კოლოფ სიგარით 400 პატრონა, ქალაქის ახალ მოდის შლიაპით 4 ფოლადის შუზარადი, ბრილიანტის ყელსაბამით ერთი საველე ზარბაზანი, პიანინოთი 100 ყუმბარა და სხვა.

ამ საკითხის გამო „დაილუ ქრონ.“-ი შეეკითხა ყველა ქალაქის მოურავებს, რომელთაც დაადასტურეს, რომ საჭიროა ასეთი მსხვერპლის გაღება. მხოლოდ ნიუკესტლის ქალაქის მოურავმა განაცხადა: საჭიროა საშობაო დღესასწაულის ხარჯი სამხედრო საქმეს მოეხმარდეს, მაგრამ ნებაყოფლობით ძნელია რაიმე არსებითი საქმე გაკეთდეს, საჭიროა მთავრობა თვითონ ჩაერიოს და ეს მსხვერპლი სავალდებულოდ გაეხადოსო.

მაკედონია

გერმანელებისა და ბულგარელების ჯარი განუწყვეტლივ უშენენ ზარბაზნებს ქალაქ ბიტოლოს (მონასტირს) და დიდ ზარალსაც აყენებენ. „რ. სლ“-ოს ცნობებით, მხოლოდ ერთს დღეს დაუნგრევიათ ასზე მეტი სახლი და 20 მცხოვრები მოუკლავთ.

ნორვეგია

გერმანეთის დესპანი, თურმე, ხშირად უმასპინძლდება გერმანელების მოტრფიალე ნორვეგიულ გაზეთების თანამშრომლებს და მათთან საუბრის დროს ხშირად უკმეხად იხსენიებს მოკავშირეებს. ამის გამო მოკავშირეთა დესპანებმა ნორვეგიის პრემიერ-მინისტრს მიჰმართეს, დაგვიფარე გერმანეთის დესპანის აბუჩად აგდებისაგანაო. პრემიერ-მინისტრმა აღუთქვა, საკადრის ზომებს მივიღებო.

საბერძნეთი.

მეფის დათმობა.

საბერძნეთის მეფე კონსტანტინე მოკავშირეებმა ისეთს უკიდურეს გარემოებაში ჩააყენეს დღეს-დღეობით, რომ იძულებულ ჰყვეს მოკავშირეთა მოთხოვნილებანი დაეკმაყოფილებინა. მეფე კონსტანტინემ აცნობა მოკავშირეებს, ყველა მოთხოვნილებას გიკმაყოფილებთ და იმედი მაქვს ეხლა მაინც მოხსნით საბერძნეთის სანაპიროების გარემოცვასაო.

საბერძნეთის გარემოცვა.

ათინიდან იტყობინებიან: საბერძნეთის სანაპიროების გარემოცვა ისე სასტიკად მოაწყვეს მოკავშირეებმა, რომ არც ერთი იალქნიანი გემიც კი არ მიმოდის საბერძნეთის ბაიარაღით.

ბრძანება ვენიზელოსის დატუსაღებისა.

თუმცა საბერძნეთის მთავრობა გარეგნულად დათმობის გზას ადგია და მოკავშირეებს თითქოს ყველა მოთხოვნილებას უკმაყოფილებს, მაგრამ ამავე დროს თავის გულისწყრომას სხვა გვარად ანხორციელებს. გენ. დუსმანისს მოთხოვნილებით საბერძნეთის მთავრობამ ბრძანება გასცა ვენიზელოსის დატუსაღებისა. მას სახელმწიფო ღალატს და საბერძნეთის ჯარის შეურაცხყოფას აბრალებენ.

ვენიზელოსის წერილი.

ათინაში მომხდარ არეულობის დღეს, ვენიზელოსელი გენერალი კორაკასი ბრბომ ქუჩაში გალახა. მისი ბინა მთავრობის მოხელეებმა გაჩხრიკეს. სხვა მიწერ-მოწერის შორის უპოვნიათ შემდეგი ფრიად საგულისხმო წერილი ვენიზელოსისა:

„გენერალ კორაკას!“

თქვენი უომედობით სავსე წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ბალკანეთში საქმის გამწვავების გამო, მოკავშირენი დიდის გულმოდგინებით ეკიდებიან ჩვენს მოძრაობას. ამ დღეებში ისინი უკანასკნელ საშუალებას მიჰმართვენ ათინის მთავრობაზე გავლენის მოსახდენად, რათა მთლად დაანგრიონ ის კედელი, რომელიც ხელოვნურად აღუმართნიათ ჩვენსა და მოკავშირეთა შორის. დააკვირდით სინამდვილეს და ადვილად დარწმუნდებით, რომ ჩვენ მალე საფუძვლიანად დავმკვიდრდებით ათინაში. რაღა დარჩა თქვენს სახელოვან მეფე კონსტანტინესაგან? არჩდილიც კი ალარ! მისი ხალხზე გავლენა მტვრად იქცა მისი მუდმივი დათმობას გამო. სიმშილის აჩრდილი და სიმწარის დღენი თავს დასტრიალებს ძველ საბერძნეთს და უფრო უაღრეს საშინელებამდე მიაღწევს მაშინ, როცა მოკავშირენი ნამდვილს გარემოცვას განახორციელებენ. ჩვენი გეგმა ისეთია, რომ რუმინეთის დასუსტებაც ხელს ვერ შეგვიშლის. მაშ სულით რად ეცვემით? ეხლა უფრო საჭიროა ჩვენთვის თქვენი გაბედულობა, ვიდრე ოდესმე. ჩვენი მმართველობა თუნდაც უარყოფითი გზით მაინც განმტკიცდება. ეს წერილი უნდა წაიკითხო ჩვენ თანამოაზრეთა საიდუმლო კრებაზე. ეს წერილი ისე მიიღეთ როგორც დროებითი მთავრობის დასტურით მოწერილი და არა პირადად ჩემი.

„ვენიზელოსი“.

საფრანგეთის შიში.

ფრანგული გაზეთი „რაპპელ“ სწერს: შესაძლოა, გერმანეთმა შვეიცარიისა და ჰოლანდიის ნეიტრალობაც გადალახოს. რადგანაც ვერ მისწვდა პარიზს, იგი შვეიცარიის გადალახვით ლიონს მაინც დაეპატრონება. ვერ აიღო კალე, მაგრამ იგი შეეცდება როტერდამი დაისაკუთროს. გერმანელების საზავო წინადადება მხოლოდ ნასიტყვაობაა იმ საშუალებათა მიღებისა, რომელსაც ალარ მოერიდება გერმანეთი, თუ მოკავშირენი ზავზე მოლაპარაკებას არ მოისურვებენ.

„ჟურნალ დე გენევე“-იც საგონებელს მისცემია იმის გამო, რომ მოსალოდნელია გერმანეთმა შვეიცარიის ნეიტრალობა გადალახოსო.

რა არის ფუტურიზმი?

(გაგრძელება. იხ. „საქართველო“ 276)

თუ რომ დ'ანუნციო ფუტურისტთა სკოლას მხოლოდ სიბერეში დაემყარა, სამაგიეროდ თვით ფუტურისტები, ახალთაობის მგოსნები, გამოსვლისთანვე კაპიტალიზმის კულტს აღიარებდნენ. მათს შორის, თქმა არ უნდა, პირველობა ეკუთვნის მარინეტ'ს, როგორც მოძღვრების დამფუძნებელს. 1909 წელს ფრანგულ გაზეთ „ფიგაროში“ მან გამოაქვეყნა მანიფესტი ახალის პოეზიისა. „ჩვენ ვუგალობთ და ვეტრფით,—ნათქვამია ამ მანიფესტში,—თოფხანებს, ტყვია-წამლის საწყობებს და ვერფებს, ელექტრონის მთვარეთა მოლივლივე ძლერს ნათელს, ქარხნებს მაღლა ატყორცნილ საკვამურებითა, საიდანაც ღრუბელთა სამეტოქეოდ კუმშ-კუმშად იზიდება აღმონახეთქი ბოლის ტალღა, ვადიდებთ ფართოდ გულ-მკერდ გადაშლილ ორთქლმავალსა, რომელიც ფოლადის ცხენსავით მიმოსრიალებს დაგა-დუგით, ვადიდებთ ჰაეროპლანებს, მძლავრად ახმაურებულს მათს ჭახრაკებს, რომელნიც დროშათა ფრიალსავით და აღფრთოვანებულ ბრბოს აპლოდისმენტებსავით მოგვესმის ყველას!“

ამ მანიფესტის ყოველ სიტყვიდან აშკარად მოსჩანს ზიზღი წარსულისადმი, რაიც კაპიტალიტურ ხანამდე იყო, არსებობდა. წარსულზე ფიქრი ალარად ჰღირს, იგი დამარხულია, სასაფლაოს ჩაჰბარდა. მარინეტს სძულს პასეისტები, ანუ წარსულის მოტრფიალნი. აი, ამითი აიხსნება, რომ მარინეტი თვით დ'ანუნციოსაც ვერ შეურიგდა და ბრძოლას უცხადებდა, როგორც ითხვგარი შხამის მთხეველს: ა) როგორც ავადმყოფურ და კაეშნიან პოეზიის მოტრფიალეს, ბ) როგორც რომანტიულ სანტიმენტალიზმის, მთვარის შუქისა, ქალისა და მშვენიერების გამაიდეალებულს, გ) როგორც ვნებიან სიტკბოს მაძიებელს, გარყვნილს და სისხლის აღმრეველს და, რაც უარესია, დ) როგორც წარსულის უკიდურეს მოტრფიალეს. „როგორ შეიძლება, რომ ასეთი ადამიანი შეიყვაროს თანამედროვე იტალელმა?—ამბობს მარინეტი,—დ'ანუნციო ისევ შვილია ფრანგ სიმბოლისტების, უნცროსი ძმა, რომელიც შიშველ ქალებს ეთაყვანება, მათთვისა ჰგოდებს... არა, ჩვენ ვხედავთ, რომ იგი შორიდან გვითვალთვალებს, ფეხდაფეხ მოგვდევს, მაგრამ მაინც პასეისტია, იმდენი სითამამე და ვაჟკაცობა არ შესწევს უარჰყოს ძველი და განთავისუფლდეს ავადმყოფურ ეროტომანობისაგან და ელეგანტურ არქეოლოგობისგან*).

ამნაირად, მარინეტი სცდილობს სამშობლო პოეზია გაანთავისუფლოს დაავადმყოფებულ და სანტიმენტალ მდგომარეობიდან. მან უკუაგდო კულტი ქალის სხეულისადმი თაყვანისცემისა; ეროტიკის მიერ შებორკილი ენერგია, მთვარის შუქის რომანტიკა, წარსულზე ქვითინი და საზოგადოდ კაეშანი და ნაღველი მარინეტისთვის ადამიანის ღირსებათა დამამცირებელი თვისებაა. მისი სურვილია სამშობლო მხარე გაანთავისუფლოს „ანტიკვართა“ და „არქეოლოგთა“ ბატონობისაგან, რომელთაც მთელი ქვეყანა ძველის ძველ ძვნძთა მოვაჭრეების ბაზრად გარდაჰქმნესო. წარსულის მშვენიერებას მან დაუპირდაპირა მშვენიერება აწმყოსი და მომავლისა. სამოთრაკელ პალადის ქანდაკს წამოუყენა ტყვიაზედ უსწრაფესად მსრბოლელი ავტომობილი და ენერგიით სავსე პილოტის მღელვარე პროფილი. მანვე გოტიურ მშვენიერ ტაძართა ცაში ატყორცნილს დაარშიაგებულ კოშკებს, გულხელ დაკრეფილ ძლოცველის მათს მყუდროებას და იდუმალებას დაუპირდაპირა ქარხნები და ფაბრიკები, რომელნიც „კომლის ქშენით ცის ღრუბლებს ბრძოლად მოუხმობენ“. მარინეტის წინაშე მოჰქრის ფაფარაშლილი ძლიერი კაცის სახე, სახე თუ გნებავთ ზეკაცისა, არა იმ ზეკაცისა, რომლის შესახებაც ოცნებობდა ფრიდრიხ ნიცშე. ეარა, ფრიდრიხ ნიცშე ჯერ კიდევ თესალიის მთებში დაძრწოდა, გრძელ-გრძელ ბერძნულ ტექსტების ბილიკებზე, მისი თვალები მიტომაც სულ წარმართობისკენ იყურება, მითოლოგიისკენ და კვალად რჩება ანტიურ დიდებისა და მშვენიერების თაყვანის მცემლად. ამიტომაა, რომ მისი „ზეკაცი სამი გახრწნილი გვამისგან შესდგება, აპოლონისა, მარსისა და ბახუსისაგან“*), მაშინ, როდესაც მარინეტის ზეკაცი გამრავლებულ კაცის მეტყველებაა, მეტყველება homini miltiplie, მეტყველება ფოლადის მანქანად გარდაქნილი ადამიანისა, პოტენციური ტეხნიკით, რომელიც შეზრდილა მანქანის ლითონთან ერთად და ელექტრონით იკვებება. აი, ამიტომაა, რომ იქ, სადაც სხვათათვის გადაშლილია „წარსული“ ქვეყანა, მშვენიერების სასაფლაო, მარინეტი გონების თვალით უკვე სჭვრეტს ახმაურებულს მუშაობას, სადაც თვითეულს აღმოჩენას და გამოგონებას არავითარი საზღვარი აქვს. მაგრამ მარინეტი ჰხედავს, რომ ერთის დარტყმით არა კეთდება რა. ამისთვის მზადება უნდა, აღზრდა მთელი თაობისა. ამიტომ იტალელთათვის მას შემოაქვს ახალი სისტემა ბავშვების აღზრდისა: „ასწავლეთ მრავალ საშიშროებასთან ბრძოლა,—ამბობს იგი,—მოულოდნელად ცეცხლი მოუკიდეთ სახლს, იატაკი ჩაანგრიეთ, შეამთხვიეთ ათასი უბედურება, რომ ბავშვი გამოიწაფოს, აღიზარდოს მარჯვედ, მებრძოლად“... მარინეტს ფრანგთა სახელოვან ავიატორ, აწ უკვე დაღუპულს, ბლერიოს, სიტყვები მცნებათა-მცნებად დაუსახავს, რომ პროგრესისთვის... მრავალი გვამებია საჭირო! და აი, ასეთს გვამს არ უნდა მოერიდოს იტალეთი. არა კმარა, რომ შრომით და გარჯილობით ლომბარდიამ მიაღწია კეთილდღეობას. ეს მხოლოდ მინიატურული საბიერებაა მომავლისა. ლომბარდიაც. ლიგურიაც, მილან-ვენუა-ტურინით მხოლოდ სიმპტომებია იტალეთის აღორძინებისა. მარინეტს ახარებს, რომ ეს მხარე და ქალაქები ჩაჰბმიან სიცოცხლის ფერხულს, დღე და ღამ ცეცხლის სულითა სუნთქავენ, მაშინ, როდესაც თვით რომი... ძველი დიდების დამმარხველი რომი მდუმარედ გამოიყურება დაღვრემილ სახით.

ასეთივე უარყოფითი სახით უყურებს ვენეციას, როგორც საუკუნეთა სიტკბოებით და სიმთვრალით დაძაბუნებელს ქალაქს. „ვენეცია უნდა განიკურნოს წარსულის ჭრილობებიდან. უნდა გარდაიქმნეს მომრეწავ და სამხედრო ქალაქად, ადრიატიკის ზღვის გამგებელად. „ვენეციელებო, ვენეციელებო, რად გავიწყდებათ, რომ უწინარეს ყოვლისა, თქვენ ხართ იტალიელები? იცოდეთ, რომ ჩვეულებრივს ენაზე ეს ნიშნავს „მომავლის ამშენებელსა,*) იგი სასახლეთა დასანგრევათ მოუწოდებს მათ, რათა გარდაიქცენ მხედრებად, იბატონონ ადრიატიკის ზღვაზე, ანუ მისი ლექსით რომ ვსთქვათ, „იტალეთის ტბაზე“ და აფრა აშლილ ხომალდებით გასწიონ საღმრთო ნილოსის კიდეებისკენ.

მარინეტი უკიდურესი იმპერიალისტია. მას სურს, იტალეთმა იბატონოს ქვეყნიერებაზე. იგი მალე განსჭვრეტს ავსტრიასთან ბრძოლას, ჯერ კიდევ ომამდე ტრიესტი ფამოაცხადა თოფის წამლის სარდაფად. აი, რა სიტყვებით მიჰმართავს ტრიესტელებს: „თქვენ ხართ იტალეთის წითური და მრისხანე სახე, რომელნიც რისხვით უნდა უყურებდეთ თქვენს მტრებს. თქვენ დაკუმშული მუშტი ხართ მტრის ცხვირ-პირში დასარტყმელად. ტრიესტო, შენ ჩვენი ერთად-ერთი თოფის წამლის სარდაფი ხარ... შენზეა ჩვენი იმედები!.. მაშ შეიძულე, შეიძულე პაციფიზმი და ინტერნაციონალისტთა თეორიები! პატრიოტიზმის და ბრძოლისადმი სიყვარულს არავითარი საერთო რამ არა აქვს იდეოლოგიასთან. ნუ დაივიწყებთ, რომ იტალეთის ნახევარ კუნძულს დრედნოუტის სახე აქვს, მის კუნძულებს კი ნაღმოსნების ესკადრის სახე“. ასე აღელვებდა მარინეტი ტრიესტელებს, ასეთს ამბოხების ცეცხლს ანთებდა ახალგაზრდა იტალელთა და ტრიესტელთა შორის.

„სიტყვა **იტალეთი** უნდა აღემატებოდეს თვით ცნებას **თავისუფლებას**“, „ჩვენმა ერმა უნდა იამაყოს მით, რომ იგი იტალელია, ომისთვის შექმნილი, სამშობლო ქვეყნის განდიდებისთვის. ინტენსიური მოქმედებით, ვაჭრობით, მრეწველობით თუ ტეხნიკით იგი მსოფლიოს მბრძანებელი უნდა შეიქმნეს. უზენაესი იტალეთის ზეიდეაა!“—აი მარინეტის პოლიტიკური პროგამის ქვაკუთხედი, აი რის გარშემო იმსხვრევა მისი ფილოსოფიის ფარხმალი!

მარინეტი და მისი მოწაფენიც მეტად საეჭვო თვალით უყურებდნენ იმ ქვეყანას, სადაც ჩვენებური „ყანწისტების“ სიტყვით რომ ვსთქვათ „გიჟური გატაცებით ჯამბაზობდნენ ლოთი ვერლენი და ბოდლერი, მალარმე, სიტყვების მესაიდუმლე და არტურ რიმბო, სიამაყით მთვრალი, დაწყევლილი ჭაბუკი“. სწორედ იმიტომ, რომ სამშობლო ამ „ძმაბიჭების“ სწორედ ის ქვეყანაა, სადაც დევიზად წამოყენებულია გარყვნილი და აწ უკვე მოსპობილი ბაბილონის ძახილი: გიყვარდეთ ქალი ვნებიანი და დაუზოგველად ამრავლეთ ხალხიო“, მათ ზურგი შეაქციეს ამ ორგიას, ამ ყრუ-ღრიანცელს, ვნებიან მენადას ძახილს, როგორც ადამიანის პიროვნების დამცემს და დამასუსტებელს იარაღს და ხმამაღლივ გამოაქვეყნეს არანაკლებ ფოლადის ფორმულა: „უდიდესი ზიზღი ქალისადმი!“ „ქალი საწამლავია, გვძულს იგი, როგორც მხოლოდ ტრფიალების ჭურჭელი, როგორც ტრაგიკული სათამაშო ნივთი რაინდის ხელში“. წინააღმდეგ ქ-ნ ვალენტინა დე-სენ-პუანისა, რომელიც მთელს ევროპაში ცნობილია როგორც ერთი ვნებათა ღელვით გადარეული და ისტერიული ქალი, მარინეტი მოითხოვს

*) Футуризмъ, 81, 13 გვ.

*) футуризмъ, 83 გვ.

*) Футуризмъ, 43, 44.

უკანასკნელი ცნობები

რუმინეთის მიწა-წყალზე დუნაის მარცხენა ნაპირის გაყოლებით და მოლდავეთის საზღვარზე მოწინააღმდეგემ თავის ფრონტი გაასწორაო. დუნაის მარცხენა ნაპირზე მოწინააღმდეგის იერიში რუსეთის ჯარმა მოიგერია.

—

მარგილომანი და კარპი მაკენზენთან მისულან და მადლობა გადაუხდიათ, დაპყრობილ რუმინეთის მცხოვრებთადმი მოწყალებით მოპყრობისათვის.

—

ერცჰერცოგს კარლ სტეფანის ლვოვში ხაავადმყოფო დაუთვალიერებია, დაჭრილ პოლონელ ჯარის კაცებთან პოლონურად ულაპარაკნია და ზოგი მათგანი დაუჯილდოვებია. გაზეთების სიტყვით, კარლ სტეფანი ამით პოლონელთა გულს იგებსო.

—

გერმანეთს შემუშავებული ჰქონია ზავის დაწვრილებითი პირობები და ამ პირობებს იმ შემთხვევაში გამოგაქვეყნებ, თუ მოკავშირენი პრინციპიულად თანახმანი იქნებიან ზავზე მოსალაპარაკებლადო.

ამერიკა და ზავი

(პეტ. დეპ. სააგ.)

უილსონის წინადადება.

პარიზი. შეერთებულ შტატების დესპანმა საგარეო საქმეთა მინისტრს ბრიანს გადასცა პრეზიდენტ უილსონის ნოტა ომის შეჩერების თაობაზე. წინადადება მეგობრულ კილოთია შედგენილი, იქ ნათქვამია: ეს წინადადება არის არა მარტო მეგობრისა, არამედ ნეიტრალ სახელმწიფოსი, რომლის ინტერესებიც არსებითად დაკავშირებულია ომთან. პრეზიდენტის ზრუნვა ომის შემალე დასრულებაზე იმ აუცილებლობით არის გამოწვეული, რომ მას ჰსურს გაითვალისწინოს თავისი ქვეყნის ინტერესები, თუ კი ომი ომის გულისათვის გაგრძელდება. უილსონი ურჩევს, შესაფერი დრო შეურჩიეთ, როდესაც შეასძლებელი გახდება, რომ მებრძოლმა სახელმწიფოებმა აშკარად დაასახელონ ზავის პირობები, რათა შესაძლებელი გახდეს მათი აწონ-დაწონა. უილსონი აცხადებს, ჩემთვის სულ ერთია თუ რა გზით მოხდება შეთანხმება. იგი არ ასახელებს არც გზას, არც საშუალებას, იგი აღნიშნავს მხოლოდ, რომ ორივე მოპირდაპირე მხარე ერთსა და იმავე მიზანს ისახავს: უზრუნველ იყოს ყველა ერთა უფლება-უპირატესობანი, რაიმე თავდებობა იყოს, რომ მერმისში შეუძლებელი გახდეს ერთი მეორის ჩაგვრა და ომიანობა. ყველა მზათაა განიხილოს საკითხი საერთაშორისო ლიგისა, რომელიც მომავალში მშვიდობიანობას უზრუნველ ჰყოფს. ყველას აზრით ამისთვის უპირველესად საჭიროა ეს ომი შეჩერდეს იმ პირობით, რომ „ყველა მებრძოლთა ტერიტორიალური მთლიანობა, პოლიტიკური თავისუფლება უზრუნველ ყოფილი იყოს. შეერთებულ შტატებს არავითარი უფლება არა აქვს ზავის პირობები ურჩიოს, მაგრამ პირადად უილსონს თავის გარდუალ უფლებად და მოვალეობად მიაჩნია განსაკუთრებით აღნიშნოს, თუ რაოდენად დაინტერესებულია შემრთებული შტატები ომიანობის შეჩერებაში ნეიტრალ სახელმწიფოთა და ცივილიზაციის თვალსაზრისით. უილსონის აზრით, მას უფლება აქვს ურჩიოს მეომარ სახელმწიფოებს, რომ დაუყოვნებლივ ერთმანეთს დაუპიუდაპირონ თავისი მოსაზრებანი და პირობები, რომელიც საფუძვლად დაედება საბოლოო შეთანხმებას საყოველთაო ზავზე, რომელიც ყველასათვის ეგოდენ სასურველია. დღევანდლამდე ორივე მხარის პასუხისმგებელ პირთ ოფიციალად არ განუცხადებიათ თავ-თავისი განსაზღვრული მიზანი და ქვეყნიერებისათვის გამოცანაა, თუ რა შედეგი უნდა მოჰყვეს ომს. ნოტა ასე ბოლოვდება: „შესაძლოა, რომ ის პირობები, რომელსაც წამოაყენებენ მებრძოლი სახელმწიფონი, არც ისე მოურიგებელი იყოს, როგორც შიშობენ და აზრთა გაზიარებით მომზადდეს გზა კონფერენციის მოსაწვევად, რათა დაუყოვნებლივ მოხდეს ერთა შეთანხმება“. უილსონი ზავის მოციქულად კი არ გამოდის, იგი მხოლოდ ნიადაგს ჰსინჯავს იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად არიან მებრძოლი სახელმწიფონი მოწადინებულნი იმ ზავსა, რომელსაც თანდათანის ძლიერებით ესწრაფვის კაცობრიობა.

ფრანგული გაზეთების აზრი.

პარიზი. უილსონის წინადადებას ფრანგული გაზეთები პატივისცემით მიეგებნენ, როგორც მნიშვნელოვან დიპლომატიურს ნაბიჯს ზნეობისა და კაცთმოყვარეობის მხრივ. მოკავშირეთა ერთსულოვანი განცხადება დაბრკოლებას არ წარმოადგენსო. მომავალი ზავის სიმტკიცე გერმანეთის დამარცხებით მოიპოვება, როდესაც უფლება ძალაზე მაღლა დადგება. ამის გამო გაზეთები მწერარებას გამოსთქვამენ, რომ პრეზიდენტი უილსონი, ეს გამოჩენილი იურისტი, ივიწყებს ომის მიზეზებს და ერთს დონეზე აყენებს მებრძოლ მოპირდაპირეებს—თავის მიწა-წყალის დამცველთა და შემოსეულდამპყრობთ, რომელიც ფეხქვეშ სთელავს უფლებას. გაზეთები აღნიშნავენ, რომ მოკავშირეთა საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელნი მოითხოვენ სრულს დაკმაყოფილებას და სრულ გარანტიას.

ინგლისური გაზეთების აზრი.

ლონდონი. უილსონის წინადადების გამო ინგლისურ გაზეთებს გაბრაზებული გაოცება ეტყობათ. გაზეთების უმეტესობას ეშვი არ შეაქვს უილსონის გულწრფელობა-მიუდგომლობაში, მაგრამ შეუწყნარებლად მიაჩნიათ, რომ იგი განსხვავებას არა ჰხედავს მოკავშირეთა და მათ მოპირდაპირეთა შორის, თითქოს არ იცოდეს, თუ ვინ არის ომის მიზეზი. გაზეთები ერთხმად აღიარებენ, მოლაპარაკება შეუძლებელია, სანამ გერმანეთი არ გამოტყდება, რომ იგი იყო დამცემი მხარე და სანამ დაპყრობილ ქვეყნებს არ დასტოვებს. ზოგიერთი გაზეთები გაიხსენებენ ამერიკის შინაურს ომს, როდესაც ლინკოლმა უარჰყო ინგლისის ჩარევა საქმეში და ამბობენ, მოკავშირეებმაც უნდა უარჰყონ უილსონის წინადადებაო. მათის აზრით სრულებით შეუწყნარებელია, რომ შეერთებულმა შტატებმა საწერ მანქანის საშუალებით სცადონ მოკავშირეთა საქმეში ჩარევა და ხელი შეუშალონ მოკავშირეებს, რომ თავისუფლებისა და სამართლიანობის უზრუნველყოფა ზარბაზნების საშუალებით მოიპოვონ.

ფრანგ დეპუტატების აზრი.

პარიზი. უილსონის წინადადებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია პარლამენტის კულუარებში. დეპუტატები ერთხმად პატივისცემით იხსენიებენ უილსონის კეთილშობილურ გრძნობით გამოგზავნილ ნოტას. მათის სიტყვით, საფრანგეთი უძველეს დროიდანვე აფასებს შეერთებულ შტატების მშვიდობიან მეგობრობას. საყოველთაო იდეალი სამართლიანობა და თავისუფლებაა, რომლის გულისთვისაც საფრანგეთი 30 თვეა ეწევა ომის ტვირთს, რომლის თავიდან ასაცილებლად მან თავის დროზე ყოველი საშუალება იხმარა. საფრანგეთი თავისდა უნებურად ჩაება ომში, არა ჰქონია არც დაპყრობის, არც გაბატონების ზრახვანი, მაშინ როდესაც მტერი არა ჰფარავდა თავისს მტაცებლობის მადას.

საფრანგეთს შემოესივნენ და იგი თავს იცავს. ყველა ფრანგები იზიარებენ უილსონის სურვილებს, მაგრამ, რაც უნდა სანატრელი იყოს მისი განგორციელება, შეუძლებელია დავენდოთ იმ სახელმწიფოს სიტყვას, რომლისათვისაც ხელშეკრულობა ქაღალდის ნაფლეთია. რომ გერმანეთმა ამ ომის შემდეგ ვეღარ შესძლოს ახლად თავდასხმა, მოკავშირე სახელმწიფოებმა უნდა მოითხოვონ ფორმალური გარანტია და უნდა დარწმუნდნენ, რომ თავის თავისი პატივისცემა აკისრებინეს. ჩვენ არ გადაუხვევთ 1914 წ. მკათათვეში განცხადებულს მიზანს, რომლის გულისათვისაც მზად ვართ კვლავ ახალი მსხვერპლი გავწიროთ. როდესაც მიზანი სავსებით იქნება მიღწეული, მშინ შეეუდგებით ევროპის მოწყობას იდეალურად, რაზედაც უილსონი ლაპარაკობს. ღირსეულის პატივისცემით ვეკიდებით უილსონის განცხადებას, მაგრამ ეხლა მისი წინადადების მიღება ვერ უზრუნველჰყოფს მტკიცე ზავის დამყარებას.

გერმანულ გაზეთების აზრი.

სტოკჰოლმი. ბერლინიდან იტყობინებიან: „ბერლინერ ტაგებლატ“-ის მთავარი რედაქტორი ფოლფი სიამოვნებით ეგებება უილსონის ნოტას, როგორც წინასწარს ნაბიჯს ზავისაკენ და სწერს: „ყველა გერმანელები და მათი მომხრენი უილსონში დაინახავენ არა იმდენად სიმპატიურს პიროვნებას, რამდენადაც სერიოზულს. პოლიტიკას სიმპატია-ანტიპატიასთან საქმე არა აქვს. არც ერთს პასუხისმგებელ პოლიტიკოსს არ შეუძლიან არ შეიწყნაროს ზავის ხმა, თუნდაც იგი ვაშინგტონიდან გაისმას; საჭიროა განვიხილოთ, თუ უილსონის გამოსვლა რამდენად მისცემს საფუძველს პოლიტიკურ შედეგებისათვის. უილსონს მოეხსენება, რომ მებრძოლი სახელმწიფოებს ერთგვარად არ მოსწონთ შუამავლობა, ამისთვისაც იგი მან დიდის სიფრთხილით შემოაღო კარი, რათა ხელი არ შეეშალა და აბეზრად არ მიეჩნიათ. ლლოიდ-ჯორჯის დაპირებული პასუხი ცენტრალ სახელმწიფოებს ჯერ არ მიუდით, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ პასუხის დაგვიანება იმითაა გამოწვეული, რომ ლონდონსა, პარიზსა და პეტროგრადში წინდაწინვე იცოდნენ უილსონის განზრახული ნაბიჯი და მის შესაფერად ჰსურდათ საპასუხო ნოტის შედგენა? ყოველ შემთხვევაში უილსონის ხელის შეწყობას უნდა მივესალმოთ, რადგანაც ეხლა ზავზე მოლაპარაკება აღარ დასცხრება“.

ახალი ამბავი

ქართული დაწესებულებანი.

✦ **წ. კ. გ. საზოგადოების** წლიურ კრების გაგრძელება დღეს 7 საათზე იქმნება, სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში (ფრეილინის ქ.).

✦ **სასოფლო სამეურნეო ბანკს** წლეულ გაუფართოვებია ოპერაციები სოფლად. მიმდინარე წლის მარტის თვიდან ვიდრე დღევანდლამდე ბანკს მიუცია სესხი: 1) კარალეთის შემნახვ. გამსესხ. ამხანაგობისათვის 8000 მან. 2) კარდანახისა—2000 მან. 3) თბილისის—10,000 მან. 4) ველისციხისა—30,000 მ 5) შაშიანისა—4,000 მ. 6) ზემო გომისა—5000 მან. 7) ვაქირისა—20,000 მ. 8) ბაურციხისა—5,000 მ.ნ. 9) ანაგისა—10,000 მან. წინანდლისა—10,000 მან. 10) ვაჩნაძიანისა—5,000 მან. 11) კარდანახისა—20,000 მან. 12) ალვანისა—35,000 მან. 13) თელავისა—40,000 მან. 14) ჯუგაანისა—15,000 15) დოესისა—3,000 მ. და 16) სიღნაღისა შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისთვის 10,000 მანეთი. ამავე ბანკს მიუცია სესხი შემდეგ საკრედიტო ამხანაგობისათვის: 1) ახალქალაქისა—5,000 მან. 2) გურჯაანისა 29.500 მან. 3) აწყურისა 3000 მან. 4) ვაჩნაძიანისა—5,000 მან. 5) ფშავლისა—3,000 მან. 6) ძველგავაზისა—5,000 მან. 7) ბორბალოსი—5,000 მან. 8) ახალქალაქისა—5,000 მან. 9) ერთაწმინდისა—2,000 მან. 10) საგარეჯოსი—5,000 მ. და 11) თრიალეთისა—3,000. სულ ყველა ამ 27 დაწესებულებისათვის ბანკს მიუცია სესხად 375,000 მანეთი.

✦ **სოხუმის რაინ. განყ. გამგეობამ** აცნობა ქ. საქ. საზ. მთავარ გამგეობას რომ, თანახმად ახალი ინსტრუქციისა გამგეობის შემადგენლობა გაძლიერებულა ორი პირით. არჩეულ არიან ექიმი ა. გ. გაბუნია და ი. გაბუნია. განყოფილება აგრეთვე დახმარებია ომისაგან დაზარალებულთ, განსაკუთრებით ლტოლვილ აფხაზებს (70 სულს). მათ დაურიგდათ ის 500 მანეთი, რომელიც მთავარ გამგეობისაგან მიიღეს. გარდა ამისა გამგეობა დახმარებას აწვდის აჭარელ ლტოლვილთ და სხვა და სხვა სოფლებში დაბინადრებულ ლაზებს—ქართველებს, რომელთა მდგომარეობა სოხუმის ოლქში ძლიერ სამძიმოა. მთავრობა ამათ რუსის ქვეშევრდომად არა სცნობს და ლაზები ფარულად ცხოვრობენ.

✦ **მათს უმაღლესობის ტატიანეს კომიტეტს** ქ. საქვ. საზ. გამგეობამ წარუდგინა ცნობები სკოლებისა და თავშესაფარში მოთავსებულ ბავშვთა შესახებ და აგრეთვე მიმდინარე წლის 1 იანვრიდან ვიდრე ღვინობისთვემდე მიღებულ და დახარჯულ ფულის ანგარიში.

მთავრობის დაწესებულებანი.

✦ **ლაზების მდგომარეობა.** სოხუმის ადმინისტრაციამ მეფის ნაცვლის კანცელარიის წინაშე შუამდგომლობა აღძრა ძალდატანებით გადაასახლონ სოხუმის ოლქიდან ოსმალოს ქვეშევრდომები, მათ შორის, ლაზებიც. ამისთვის 1 ოქტა ჯარისა უკვე ჩასულა სოხუმში.

ძალაძის დაწესებულებანი.

✦ **კრების დადგენილება.** ქალაქის ურთიერთშორის ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოებას 11 ამა თვეს კრება ჰქონდა, რომელმაც შეიწყნარა მოხსენება გამგეობისა შესახებ დაზღვევის მონოპოლიისა. შემდეგ კრებამ 1.500 მანეთი გადასდვა გამგეობის წევრთაოვის საჩუქრის სახით მისაცემად.

✦ **ფულის გადადება.** გენერალ თამამშევის განკარგულებით, ქალაქთა კავშირის განყოფილებამ მიიღო 500 ათასი მანეთი გადმოხვეწილთა საჭიროების გასაძღოლად.

✦ **ქალაქთა კავშირის** განყოფილებას 10 ამა თვეს კრება ჰქონდა, რომელმაც მოისმინა კომიტეტის სამეურნეო განყოფილების ე. ი. სვეშნიკოვის წერილობითი განცხადება, რომ თანამდებობას თავს ვანებებო, სანამ კომიტეტის მევალეები დაკმაყოფილებული არ იქნებიანო. კრებამ შემდეგ მოისმინა მოხსენება შესახებ იმისა, რომ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს არ. ს. ბაბოვს თანამდებობიდან გადაუყენებია ლაზარეთის № 11 გამგე ექიმი კამოევი. კრებამ ბ-ნ ბაბოვის მოქმედება კანონიერად სცნო, მაგრამ ამასთანავე დაადგინა, რომ ინციდენტის შესახებ არავითარი გადაწყვეტილი რეზოლუცია არ გამოიტანოს, სანამ საქმის ვითარება არსებითად, სავსებით არ იქნება გამოძიებულიო.

სასწავლებლებში.

✦ **საქალებო საეპარქიო სასწავლებელში** მოწაფეებს საშობაოდ 17 ქრისტეშობისთვეს ითხოვენ ვიდრე 15 იანვრამდე. ერთის თვით იმიტომ ითხოვენ მოწაფეთ, რომ სასწავლებელში ქუნთრუშამ იჩინა თავი და დეზინფექცია უნდა გაუკეთონ პანსიონს.

სხვა და სხვა ამბები.

✦ **სამღვდელოების კრება.** გუშინ, დილის 11 საათზე დედათა საეპარქიო სასწავლებლის ბინაზე გაიხსნა კრება საქართველოს ეპარქიის სამღვდელოებისა. კრებას დეესწრო 49 დეპუტატი. კრების თავჯდომარედ დასახელებულ იქმნა 3 კანდიდატი: დეკ. კომარი (ყარსის ოლქიდან), მღ. ალ. ჯალიაშვილი (მცხეთის საბლაღოჩინოდან) და დეკ. ირ. ოქროპირიძე (ცხინვალის ოლქიდან), ყველაზე მეტი ხმა ამოუვიდა დეკ. ირიდიონ ოქროპირიძეს და თავმჯდომარედაც ის იქმნა არჩეული. ხოლო მდივნებად დეკ. მ. ნათაძე და მღ. ბ. კანდელაკი. გუშინ 2 საათზე მთელი შემადგენლობა კრებისა წარუდგა საქართველოს ეექსარხოსს. პარაკლისის შემდეგ ეექსარქოსმა სიტყვით მიმართა კრებას და ნაყოფიერი მუშაობა უსურვა.

✦ **სახალხო მახწავლებელთა** საზოგადოების ხაშურის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება 18 ამა თვესაა დანიშნული ხაშურში, ადგილობრივ ორ კლასიან სასწავლებლის შენობაში. კრებამ უნდა შეიმუშაოს პროგრამა მომავალ საზაფხულო საპედაგოგიო კურსებისა და უნდა აარჩიოს განყოფილების გამგეობა.

✦ **შავი სახადი** მეტის მეტად გავრცელდა თბილისში. მარტო ქალაქის გადამდებ სნეულებათა საავადმყოფოში 205 კაცია მოთავსებული. აგრეთვე ძლიერ ბევრია საოფლით შებრუნებულები. ქალაქის საავადმყოფოში 383 კაცია მოთავსებული და გარდა ამისა, როგორც ამბობენ, ყველა ლაზარეთებშიაც ბევრნი ყოფილან დაბინავებულნი ამ სენით ავადმყოფნი.

✦ **ქართულ დრამატ. საზოგადოების** კრების გაგრძელება გაიმართება 18 ქრისტეშობისთვეს დილის 11 საათზე ახალ კლუბის დარბაზში.

✦ **საავარაკო საზოგადოების** წევრთა მომწვევ საორგანიზაციო ბიუროს კრება ექნება დღეს, 13 ამა თვეს, ქალაქის საბჭოს დარბაზში.

✦ **მეტეხის ციხის ეკლესია.** საუფლოოთა ინსპექციამ ნება დართო, რომ კვირაობით დილის ცხრის ნახევრიდან ათის ნახევრამდე ეკლესიის კარი გარეშე მლოცველთათვის ღია იყოს.

✦ **მოულოდნელი სიკვდილი.** კვირას 11 ქრისტეშობისთვეს, საღამოს 9-ს ნახევარ საათზე რკინის გზის სადგურის ბაქანზე მოულოდნელად გარდაიცვალა სად. სუმბათოვოს რემონტის მუშის ცოლი მარიამ გოგოლაძისა-

შეცდომათა გასწორება

ს. კედიას წერილში, კვირის ნომერში რომ დაიბეჭდა, გაზეთის მეორე გვერდის პირველ სვეტზე, ზემოდან მე-14 სტრიქონში დაბეჭდილია, მაგრამ ეს ერთობა **მათაც უნდა შეექნათ**, რადგან ამის გარეშე შეუძლებელია ჩვენი გამთელება—ჩვენი აღდგენა. **უნდა იყოს** მაგრამ ეს ერთობა **მაინც უნდა შეიქმნას**, რადგან და სხვა.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ. წლიური კრება

11 ქრისტეშობისთვე

კრება დაიწყო გ. ნ. ყაზბეგის თავმჯდომარეობით დღის 12 ნახევარ საათზე. თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულთა ეკ. ი. სარაჯიშვილის, ალ. თ. ყიფშიძის, ირ. ევდოშვილის, ლ. დარჩიაშვილის, თ. დ. ჟორდანიას და ბრძოლის ველზედ დახოცილ ჯარის კაცთა ხსოვნას.

კრების მორიგ საგანს შეადგენს განხილვა საზოგადოების 1915 წლის მოქმედება ანგარიშისა. პირველად წაკითხულ იქმნა სარევიზიო კომისიის მოხსენება ამ ანგარიშის შესახებ.

კომისია აღნიშნავს-რა, რომ საფინანსო ანგარიში საზოგადოებისა სწორად არის შედგენილი და ყველა თანხები საზოგადოებისა უკლებლად ინახება, აგრეთვე წიგნის მაღაზიის ანგარიშებიც კარგად არის შენახული და მაღაზიაში და საწყობში გაუსყიდავ წიგნებს არა აკლია-რა, შემდეგს ნაკლულევანებას ჰხედავს გამგეობის მოქმედებაში:

1) მიუხედავად სარევიზიო კომისიის შენიშვნებისა წინანდელ წლის ანგარიშის გამო, რათა გამგეობას საერთაშორისოს წესით გაენაღდებინა აგენტებზე დარჩენილი ძველი ვალები, საანგარიშო წელს და დღესაც ეს შენიშვნა და ამ შენიშვნის გამო საზოგადო კრების დადგენილება გამგეობას სისრულეში არ მოუყვანია.

2) წიგნების გამომცემელ სექციას მის განკარგულებაში გადადებული თანხის—3.000 მანეთის დახარჯვა ვერ მოუხერხებია და ამ ფულიდან წლის ბოლოს დარჩენილა დაუხარჯავი 1.421 მან. 60 კაპ., მაშინ, როდესაც სექციას შეეძლო უფრო მეტი წიგნები გამოეცა ხალხში გასაერცელებლად. ასეთი ნაკლი აღნიშნულია სექციის წინანდელ წლის მოქმედებაშიაც, როცა დაუხარჯავი დარჩა 2 617 მან. 69 კაპ.

3) საკანცელარიო ნივთები ძლიერ ცოტაა მაღაზიაში. გამგეობას სათანადო ზომები არ მიუღია გადასაყენებლად საფერს ადგილას, ვაჭრობა, გაფფერთოვებინა და ამით გაეძლიერებინა საზოგადოების ღონისძიებანი.

4) ყოფილ სტიპენდიანტების შესახებ გამგეობას არ უხმარია სათანადო ზომები მათზე დარჩენილი ვალი გაენაღდებინა, რომელიც უდრის 28.022 მან. 43 კაპ.

5) სკოლების მდგომარეობა საანგარიშო წელსაც უნუგეშოა, გარდა ბაქოს სკოლისა, რომელსაც ჰპატრონობს ადგილობრივი ქართველობა.

6) სამკითხველო - წიგნთსაცავების მდგომარეობა კიდევ უფრო უნუგეშოა, რასაც ამტკიცებს სარევიზიო კომისიის წევრთა მიერ მოხდენილი ფაქტიური რევიზია. როგორც საქმეებიდან სჩანს, ბიბლიოთეკა - სამკითხველოებს არ ეტყობა გამგეობის მხრივ მზრუნველობა.

7) წიგნთსაცავ-მუზეუმის კატალოგი დღესაც მოუწესრიგებელია. ისტორიული საბუთები და სიგელ-გუჯრები არამც თუ შესწავლილი, ჯერ კიდევ აღუნუსხავია. მუზეუმის ნივთების უმრავლესობაც შეუსწავლელია. მუზეუმში არ არსებობს სისტემატიური და მეცნიერულად შედგენილი კატალოგი. ჩვენ სახელოვან მწერალთა კაბინეტი მეტად მოუწესრიგებელია. კომისიის აზრით, მუზეუმი დაზღვეული უნდა იქმნას.

8) ილიასეული სახლი უყურადღებოდ აქვს გამგეობას მიტოვებული; სახლი თითქმის გაპარტახებულია.

დასასრულ, სარევიზიო კომისია საჭიროდ სთვლის მიაქციოს კრების ყურადღება იმ გარემოებას, რომ წერა-კითხვის საზოგადოების საქმეები თანდათან მრავლდება, რის გამო მოსამსახურეებს ჯაფა ემატებათ. ამიტომ სამართლიანი იქნება და თვით საზოგადო საქმისთვის სასარგებლო შტატი გაძლიერდეს და მოსამსახურეთა ნივთიერი მდგომარეობა გაუმჯობესდეს.

(დასასრული იქნება)

რუსეთი

საზოგადოებრივ დაწესებულებათა ყრილობების აკრძალვა.

მოსკოვი, 9 ქრისტეშობისთვე. ქალაქის სამართველოს ბინაზედ, სადაც ქალაქთა კავშირის წარმომადგენელთა ყრილობა უნდა გახსნილიყო, გამოცხადდა პოლიცია პოლიცმეისტერის მეთაურობით და ყრილობა აკრძალა. დელეგატები დაიშალნენ. ამავე დროს გამოცხადდა პოლიცია ერობათა კავშირის ბინაზედ და შეკრებილ დელეგატებს ნება არ დართო სხდომა გაეხსნათ. (ბ. დ. ს.)

ა. ფ. ტრეპოვის წერილი მ. ვ. ჩელნოკოვის მიმართ.

მოსკოვის ქალაქის უფროს მროზოვსკის მიერ საზოგადოებრივ დაწესებულებათა ყრილობების აკრძალვის გამო, ქალაქის თავმა ჩელნოკოვმა დეპეშით სთხოვა მინისტრთა თავმჯდომარეს, ნება დართეთ ქალაქთა კავშირს სხვა და სხვა კუთხიდან წარმომადგენელნი შეკრიბონ სასურსათო საკითხთან დაკავშირებულ საქმეთა მოსაწყობათო. მინისტრთა თავმჯდომარემ ა. ფ. ტრეპოვმა წერილით უპასუხა, ვიზიარებ თქვენს აზრს სასურსათო საკითხის დიდ მნიშვნელობის შესახებ, მაგრამ შეუძლებლად ვცნობ მოსკოვის სამხედრო უფროსის დადგენილება გავაუქმოვო. სახელმწიფო სათათბიროში, რომელშიაც საზოგადოების ყველა ჯგუფების ინტერესებია წარმოდგენილი, სავსებით იყო განხილული ამ საკითხის არსებული მდგომარეობა. ამასთან ერთად, საკითხის ზოგიერთი მხარე, რომელიც ჯარის სურსათით უზრუნველყოფას ეხება, დაკავშირებულია სახელმწიფოს თავდაცვის საქმესთან, რომლის საჯაროთ განხილვა ყოვლად შეუძლებელია. საქმის ზოგიერთი წვრილმანი მხარე, რომელიც მთავრობის წარმომადგენლებმა დეპუტატებს მოახსენეს, კავშირის ყრილობას არ ეცოდინება და უამისოდ კი საკითხის ჯეროვანი განხილვა შეუძლებელია; ხოლო სამინისტროს მმართველი, რომელსაც დელეგატებისათვის უნდა გაეცნო ის საკითხი, ყრილობას ვერ დაესწრება, რადგან მინისტრისთვის ყოვლად მოუხერხებელია თუნდ ცოტა ხნით დაშორდეს საქმეს.

სათათბირო და ყრილობათა აკრძალვა.

მოსკოვის ყრილობათა აკრძალვამ სათათბიროს უმრავლესობა ძლიერ ააღელვა. როცა ეს ამბავი მოვიდა, კულუარებში დიდი კამათი ატყდა. დეპუტატთა ერთ ჯგუფს სწადია სათათბიროს განსასილველად წამოაყენოს ეს საკითხი.

ნ. ბარათაშვილის
ნაშთის გადმოსვენების გამო

ძნელი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში ყოფილა ჩვენი საზოგადოება და მისი გონებრივი ავლა-დიდება იმ დროს, როცა ჩვენი სახელოვანი მგოსანი ნ. ბარათაშვილი გარდაიცვალა.—მაშინდელმა ჩვენმა მოწინავე პირებმა იმოდენი გმირობა, მამულიშვილობა და სიყვარული ვერ გამოიჩინეს ძვირფასი მგოსნისადმი, რომ მისი გვამი განჯიდან სამშობლოში გადმოესვენებინათ. ამ სახით აღსრულდა მგოსნის გულის მწყველი წინაგრძნობა, რომელიც მან ასე გამოსთქვა:

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,
ჩემთა წინაპართა საფლავებს შორის!
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა,
ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის,—
შავი ყორანი გამითხრის საფლავს
მდელოთა შორის ტიალის მინდვრის
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა
ზარით,
ღრიალით, მიწას მომაყრის!
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად
მივალალებენ სვავნი მყივარნი“.

სამოც წელიწადზე მეტი გავიდა მგოსნის გარდაცვალების შემდეგ და მხოლოდ მაშინ იგრძნო ჩვენმა საზოგადოებამ უკვდავი მგოსნის ნაშთის გადმოსვენების საჭიროება. ეს საკითხი პირველად აღიძრა წ. კ. გ. საზოგადოების მმართველობაში. მმართველობამ საჭიროდ სცნა ბარათაშვილებს (მგოსნის ნათესავებს) ეთხოვნათ უმაღლესს მთავრობისათვის, რათა მას ნება მიეცა მათთვის ნაშთის გადმოსვენებისა განჯიდან თბილისში. საქმის წარმოებამ დიდხანს გასტანა და მხოლოდ 1893 წ. დაბოლოვდა ეს საქმე. წ. კ. გ. საზოგადოება შეუდგა საქმის სისრულეში მოყვანას: გამოცხადა გაზეთებში, დანიშნა გადმოსვენების დრო და მოამზადა ყველაფერი, რაც საჭირო იყო. როცა ეს ამბავი გაიგო ხალხმა, საქართველოს ყველა ქალაქებში და დაბებში იწყეს მზადება და დეპუტატების არჩევა, რომლებიც უნდა ჩამოსულიყვნენ თბილისში დანიშნულ დღისთვის, რათა ღირსეულად მიგებებოდნენ უკვდავი მგოსნის ნაშთის გადმოსვენების დროს.

განჯაში გამგზავრება, ნაშთის პოვნა და გადმოსვენება წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობამ მიანდო სამ პირს: პოლკ. გ. ორბელიანს, ალ. ჭყონიას და მე. საღამოს ჟამი იყო, როცა განჯაში ჩავედით. თ. გ. ორბელიანმა ინახულა განჯის გუბერნატორი და გამოუცხადა ჩვენი ჩასვლის მიზანი. მეორე დღეს დილით მივედით ეკლესიის გალავანში, სადაც დასაფლაებული იყო მგოსანი. ეხლა პირველი ჩვენი საზრუნველი ის იყო, რომ გვენახა სწორედ ის ადგილი, სადაც მგოსანი იყო დასაფლაებული და საიდანაც საფლავის პატარა მარმალილოს ქვა აეღოთ და ეკლესიაში შეენახათ. ხოლო ამის მიზეზად ის გამხდარიყო, რომ ეკლესიის გალავანი შემოზღუდული არ ყოფილა და ხალხს სასაფლაოზე პატარა სასიარულო გზა გაეკეთებია. ბილიკი თითქმის საფლავზე გადადიობა, ამიტომაც ღვდელს ქვა აეღო და ეკლესიაში შეეტანა. ღვდელმა გვიჩვენა სწორეთ ის ადგილი, საიდანაც აეღო ქვა. შემდეგ ამისა ნაქირავებმა მუშებმა იწყეს საფლავის გათხრა. გალავანში დიდძალი ხალხი შეიკრიბა. ყველანი მოუთმენლად მოელოდით მუშაობის შედეგს. დიდი შრომის შემდეგ წავწყდით კუბოს და იმედი მოგვეცა, რომ სასურველი საფლავი ვიპოვეთ. მაგრამ კუბოში აღმოჩნდა აფიცრის გვამი. ჩვენ წინათვე ვიცოდით, რომ განჯის სასაფლაოზე მგოსნის ახლობელი ნათესავი აფიცერი იყო დამარხული. ამოვიღეთ კუბო და განვაგრძეთ მიწის გათხრა, მაგრამ უფრო ფართოდ და ორთავ მხრით, რადგანაც იმედი მოგვეცა, რომ მგოსნის საფლავიც იქვე გვერდით უნდა ყოფილიყო. მაგრამ, რადგან მგოსნის საფლავის ძებნა დიდ ხანს გაგრძელდა, თბილისში განსვენებული ი. ჭავჭავაძის სახელზე დეპეშა გავგზავნეთ და ეს ამბავი ვაცნობეთ.

საღამოს ხუთი საათი იქნებოდა, როცა გამოჩნდა მეორე საფლავი. კუბოს ფიცრები უფრო დაზიანებული იყო. ამოვწმინდეთ საფლავი, გავშინჯეთ გულმოდგინეთ და დავრწმუნდით, რომ ის იყო ნამდვილათ მგოსნის საფლავი, რადგანაც განსვენებული შესაფერი ფორმის ტანისამოსში ყოფილა დამარხული და სერთუკს საყელო თავისი სირმებით კარგათ იყო დაცული. გარდა ამისა გავშინჯეთ დაცული ფეხის ძვლები, რომლებსაც დაზიანების ნიშნები ეტყობოდათ. ამოვიღეთ ყველაფერი, რაც საფლავში ვიპოვეთ და ჩავაწყვეთ მშვენიერ კუბოში, რომელიც თან წავიღეთ თბილისიდგან. შემდეგ ამისა მუხლი მოვიყარეთ და მოწიწებით ვემთხვიეთ კუბოს. საფლავის პოვნა დაუყონებლივ ვაცნობეთ დეპეშით თბილისში.

ღვდელმა გადიხადა მცირე პანაშვიდი და შემდეგ კუბო შესაძლო პატივისცემით გადმოვიტანეთ რკინის გზის სადგურზე, შევიტანეთ საკუთარ სამგლოვიაროთ მორთულ ვაგონში და დანიშნულ დროს წამოვედით.

როცა მეორე დღეს დილით თბილისის სადგურს მიუახლოვდით, დავინახეთ, რომ მთელი მიდამო გაჭედილი იყო ხალხით—ქალით და კაცით. გაჩერდა მატარებელი. ამ დროს ხალხმა მუხლი მოიყარა. წინ მოგვეგებენ განსვენებულნი ი. ჭავჭავაძე, აკაკი და სხვა საპატიონი. ასწიეს კუბო და გამოიტანეს სადგურის წინ მინდვრად. აქ სამღვდელოებამ მცირე პანაშვიდი გადიხადა. შემდეგ კუბო წაასვენეს მანდილოსნებმა და ქალიშვილებმა დიდების ეკლესიაში. წირვისა და დასაფლავების დროს ბევრი შესანიშნავი სიტყვა იყო წარმოთქმული.

ამ სახით შეასრულა ჩვენმა ხალხმა თვისი სამღვთო მოვალეობა უკვდავი მგოსნის—ნ. ბარათაშვილის ნაშთის წინაშე.

გ. იოსელიანი.

მცირე შენიშვნა

თბილისის ქართ. დრამ. საზ. გამგებას კრებაზე თავის მოხსენებაში განუცხადებია: **„გამგეობა აგრედვე არ ემადლიერება მხახიობთა დიდ უმრავლესობას და სახალხოდ აღიარებს, რომ ბევრი მხახიობი თავისს ადგილას არ არის“.**

სრულიად ვეთანხმები გამგეობას! ადამიანს, როდესაც საჯაროდ შეურაცხყოფენ და მას არ ეღვიძება თავმოყვარეობა და ინსტიქტი თავის დაცვისა, არა თუ ღირსი არ არის რომელიმე დაწესებულებაში, ანუ დარგში სამსახურისა,—არამედ თვითარსებობისაც-კი! ქართველი მსახიობი, ისე, როგორც ებრაელი რუსეთში, მასხარაობისა და ოხუნჯობის საგნად იყო მიჩნეული ჩვენ „ინტელიგენტ“ საზოგადოებაში. მსახიობი სდუმდა! სდუმდა მაშინ და სდუმს ეხლაც, როდესაც გამგეობას საჯაროდ გამოაქვს რაღაც დიდი ბრალდება და პირში ახლის მსახიობთ „თქვენ თქვენ ადგილს არა ხართო“! არ გამოჩნდა იმ კრებაზე არც ერთი მსახიობი (გარეშეს თავი დავანებოთ!), რომელსაც ეგრძნო ეს შაურაცყოფა და შეკითხებოდა გამგეობას: „რა დავაშავეთ? რატომ არა ვართ ჩვენს ადგილზე“-ო?

დადუმდნენ! პირში წყალი დაიგუბეს! ჩაყლაპეს ეს შეურაცყოფა! სჩანს იმ კრებაზე დამსწრე მსახიობნი ისეთ დიდ დანაშაულსა გრძნობენ, რაიც არ აძლევს უფლებას ემსახურონ ქართულ თეატრს, თორემ რა დასაჯერებელია, ერთ მათგანს მაინც ხმა არ ამოეღო?! და თუ ასეა, თუ დამნაშავენი არიან, მაშინ გამგეობა მართალია!.. ისინი „თავიანთ ადგილზე არ არიან“!

ვალ. შალიკაშვილი.

ქართული გალობა და ჩვენი სამღვდელოება
(მომავალ სამღვდელოების კრებებისა გამო)

ისეთი გულცივობა და უყურადღებობა, როგორსაც ქართველი სამღვდელოება იჩენს ქართულ ძველ გალობისადმი, ყოვლად შეუწყნარებელია. აი, ამ უყურადღებობამ და დაუდევრობამ იქამდის მიიყვანა ქართულ საეკლესიო გალობის საქმე, რომ დღეს არცერთ ეკლესიაში სოფლად თუ ქალაქად, არცერთ სასწავლებელში (სასულიერისა თუ საეროში) ქართული გალობა აღარ ისმის, და თუ არის სადმე, იქაც გადამახინჯებულ-გადაგვარებული. ზოგნი ამ გადაგვარების ბრალსა სდებენ ჩვენ კომპოზიტორ-მუსიკოსებსა და ლოტბარ-მასწავლებლებს, რაშიაც ჩვენც დავეთანხმებით. მაგრამ ამით ვერ გაიმართლებს თავს სამღვდელოება, რომელსაც ყველაზედ მეტი დანაშაულობა მიუძღვის ამ საქმისადმი. სხვა არა იყოს რა, უნდა თვით სამღვდელოებას ეკისრნა ეს საკუთარი საქმე, რაც ადვილი შესაძლებელი იყო და ეხლაც შეიძლება, თვით უნდა გამხდარიყო ბატონ-პატრონი და არა სხვების საგლეჯ-საწიწკნავად გაეხადნათ გალობა. ვინც არა მგონია, ქართულ გალობასა სთხზავს, სხვა კილო-გემოვნებაზედ, თავის ჭკუაზედ, ასე გასინჯეთ, „ზესტაფონის“ კილოზედაც კი არის ქართული საგალობელი, რასაც მე გადამეტებულად არ მოვ ხსენებ პატივცემულ მკითხველთ, და ყოველსავე ამას ნათლავენ **„განვითარებულ-გამშვენიერებულ, მუსიკის კანონებზედ დაწყობილ, გალობად“**. ამას იქით შეუძლებელია ამ გზით სიარული ამ დარგში. ეს დიდი ცოდვა და დანაშაულობაა არამც თუ მარტო სამღვდელოებისა, არამედ მთელი ქართველი საზოგადოებისაც. ჩვენდა სამწუხაროდ, ისეთ სასულიერო და საერო პირებსაც ვხვდებით, რომელნიც, ან სრულიად უარს ჰყოფენ ამ საქმეს, ან არა და ხელს უშლიან ქართულ გალობის განვითარებას.

მშობლიური გალობა მუსიკა უდიდესი სიტკბოებაა-სიამოვნებაა ადამიანისათვის და უკეთილშობილესი აზრების დამთესია ერის ცხოვრებაში. აბა, თქვენ წარმოიდგინეთ, რა უნდა იყვეს და რა არის ეხლა ქართულ ეკლესიებში წირვა ლოცვა უმგალობლებოდ; ამავე დროს, ნახეთ, ახლა რუსების და სომხების ეკლესიებში, როგორ გაჩაღებულია გალობა! ამიტომაცაა, რომ ჩვენი ხალხი უფრთხის ეკლესიას. მიზეზი ხალხს დაშორებისა ეკლესიისაგან სწორედ ეს გახლავთ. ეხლა ზედაც დაუმატეთ ახლად ნაკურთხ მღვდელმთავრების უფერული, ულაზათო და უკილოო ხმები, დიაკვან-მედავითნეების უშნო კითხვა და ცალხმაზედ ღრიალ-გალობა, აი მდგომარეობა და ვითარება ქართულ საეკლესიო გალობისა. გვეყო ამდენი წამება, კმარა ამდენ ცოდვების ზიდვა და ნაკლულევანებების დაფარვა; გამოვამზეუროთ ყოველისფერი, ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდეს საეკლესიო გალობა.

იმედია სამღვდელოების მომავალ კრებებზედ ამ დიდმნიშვნელოვან საგანს ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ.

ლონგინოზ მღვდლიშვილი.

წერილი ზემო ქართლიდან
(მემაუალე ინკვიზიტორი).

ამ დღეებში ზემო ქართლში მოგზვდი, სახელდობრ სოფ. გომში... თოვლი მოსულა, მაგრამ უბარაქოთ, ადრე ადნა, სამაგიეროთ სოფლათ ისეთი ტლაპო დგას, რომ თუ არ კამეჩის ურმით, ისე გავლა არ შეგიძლიათ. ზღაპრული სიძვირე, საქონლისა და ფრინველის ჭირი... დაბეჩავებულია ქართლელი გლეხი. ის მუდამ ბეჩავი იყო და ახლა ხომ მთლად ბეჩავად არის. ქართლელ გლეხის ზურგზე ყველა მალაყს გადადის, აქაო და გამძლე, მომომენია და შებრალება არ სჭირიაო. ვინ გინდა, რომ ქართლელ გლეხს არ სჩაგრავდეს, მას არ სცარცვიდეს და მასთან მის პიროვნებას არ ამცირებდეს—არ სცემდეს. დიახ, სცემენ ქართლელ გლეხს, სცემენ აშკარათ, საჯაროთ, საჯარო ადგილას, ჟანდარმისა და ბოქაულის თანადასწრებით. სცემენ, აგინებენ დედას და თან კიდეც ემუქრებიან—ჩამოლრჩობასაც ჰპირდებიან. ამისი ფაქტები გაზეთში მრავალჯერ იყო მოხსენებული და ერთს კიდევ მოგახსენებთ. მოგახსენებთ სარწმუნო კაცის მიერ ნაამბობს. ჩემს მეგობარს ეს თავის თვალით უნახავს.

დეკემბრის 2 თუ 3-ს სადგურ გომში, ზედ სადგურის უკანა კარებთან, ვ-ლაც სომეხ პოდპოლკოვნიკის დაბარებით თავი მოუყრია რამოდენსამე მოხუც გლეხსა და ქვრივ დედაკაცებს. გლეხები დაბარებულნი ყოფილან მახლობელ სოფლებიდან. „კნეინა“ ციციშვილისა, დაქვრივების შემდეგ, ცოლად შეურთავს ხსენებულ პოდპოლკოვნიკს. „კნეინის“ მამულიც მასვე დარჩენია... გლეხების სამართალოდ. გლეხებზე დარჩენილა აუკრეფავი ღალა. ხსენებულ დღეს გლეხებს რისხვად მოევლინა პოდპოლკოვნიკი (თან ხლებია სიდედრი და „ნაკნეინარი“ მეუღლე), რომელმაც გლეხებს სცემა ხელით ცხვირსა და პირში, აგინა დედა და შემდეგის სიტყვებით დატუქსა: იქ მე „ვოინში“ ურჩ სალდათებს ვამათრახებ, იმ სალდათებს კი, რომლებიც თქვენ გაბრიყვებთ და „გაბუნტებთ“ და გწერენ, რომ რაკი ჩვენ „ვაინში“ ვართ, ღალა არავის მისცეთო, ასეთებს ვახრჩობთ. თქვენ კიდევ უარესის ღირსი ხართ, თქვენ ასეთ-ისეთებო“ და სხვა. ღირსეული მეუღლის ღირსეულმა მეუღლემ ნაზად და არისტოკრატიულ კილოზე უთხრა გლეხებს:

— თქვენგან აღებული ფულები ვის რაში ეჭირვება, რასაც თქვენგან ავიღებ მე ის ერთ „ვეჩერზე“ არ მეყოფა, მაგრამ საქმე პრინციპია, თქვენ თუ ხშირად არ გიცხუნეს, თავს გახვალთ, ბატონი დაგავიწყდებათ!...

გულის შემზარავი და ამაღელვებელი სცენა იყო. ერთ ქვრივ დედაკაცს ორი მანეთი მიუკლდა, არ შეიბრალეს და მერე მამასახლისმა ასესხა და მით დროული დედაკაცი ცემას გადაარჩინა.

მოგახსენებენ, ჟანდარმმა ოქმი შეადგინაო. დავიჯეროთ? ნუ თუ მართლ „დახვს“. იქნებ მოხდეს სასწაული.

მუდამ მგზავრი

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა მოვახსენო ყველა იმ დაწესებულებათა, სამღვდელო და საერო პირთ, ვინც პატივი სცა განსვენებულ მამის ჩემის სხეულს და პირადად, წერილით თუ დეპეშით ნუგეში გვცა.

ამასთანავე ვთხოვ ყველას, ვისაც რამე საბიოგრაფიო მასალის მოწოდება შეუძლიან განსვენებულის შესახებ (განსვენებულის წერილები, პირადი მოგონებანი და სხვ. და სხვ.), ნუ დაიზარებს და ეს მასალა ქვემონაჩვენებ მისამართით გამომიგზავნოს რაც შეიძლება მოკლე ხანში. განსაკუთრებით ყოვლად სამღვდელო დავითსა ვსთხოვ გადმომცეს მის მიერ 1912—13 წლებში შეგროვილი მასალები.

ყველა ეს მასალა საჭიროა განსვენებულის ბიოგრაფიის შესადგენად.

ვთხოვ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს წერილი.

გიორგი თევდორეს ძე ყორდანია.

მისამართი: თბილისი, სასამართლოს („სუდებნი“) ქუჩა, სახლი № 26

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის
მატარებლების მიმოსვლა
(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03 დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33 საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	3.20 დღ.
„	„	№ 17,	8.27 დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10 დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13 დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54 დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28 საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13 საღ.
თელავისაკენ	№ 4,	8 „ 58	„ დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52 დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38 საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43 დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12 საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34 საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08 დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12 საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48 საღ.
თელავიდან	№ 3,	. 6 „ 24	„ საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	8.10 დილ.

სუსუნატი

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნატის** წამლით პირველ-ხარისხოვანი **„ვონოზანით“**. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშვალება **ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორებს** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

ჩვენი გარანტია.

თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშვალებაა. საშვალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შეშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ** თბილისი, თხინვალის ქუჩა № 12 отд. 3. მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეჯავოს ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвалская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე. —300—

თუ გსურთ,

რემინგტონზე რიხავე დაბეჭდვა,
რემინგტ. ხელავლა ამერიკ. წესით,
ხაძმის ძალალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საძმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საკომისიო მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის ყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

მიმაჩქარებელი,
ცნობის პონტორას
ი. თ. გვათუასას

თბილისი, ვერის დადგართი,
სახლი მელიქ აზარიანისა № 1

შუამავლობას ეს კონტორა
გასწევს როგორც ქალაქელთა
ისე ქალაქ გარეშელთათვის.

ყველა საქმეს კონტორა სწრაფულ და პირნათლად ასრულებს.

ხელმისაწვდენ ფასებში

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

საუკეთესო, თავანპარა
კახური ღვინო
მოიკითხეთ სარდაფში
„ზვარი“

პატივისცემით ე. ნ. ეგოროვი და ნ. ს. ბაცაშვილი.

თბილისი: ცერკოვნი ქუჩა № 1 (ვორონცოვის ძეგლიდან მიხეილის ქუჩის პირველ მისახვევში, მარჯვნივ).

(თვ.)

ღვინის საწყობი
ნიკო გ. სესიაშვილისა

იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი
კახური ღვინო

განთვის ქუჩა № 4.
სახლი საინავად-აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)

ძირს ტანჯვა, ძირს საერთო სისუსტე, ძირს სქესოგრივი უძლურება!

ვურჩევთ ყველას, ვინც საერთო სისუსტეს გრძნობს, სქესობრივად უძლურია—შეიძინოს ახლად გამოგონილი საშუალება პილულები **მოლეციტინი** (დასალევი) ნებადართულია მთავარ სამედიცინო საბჭოსაგან № 801.

— **მოლეციტინი** საშუალებაა სისხლ-ნაკლებობისათვის, უმადობისათვის, რახიტის, ნევრასთენიის, ცენტრალურ ნერვთა სისტემის ანთების წინააღმდეგ.

— **მოლეციტინი** მოწონებულია ბევრ ექიმისაგან, როგორც აღმადგენელი ორგანიზმისა და ავადმყოფის გამომბრუნებელი.

— **მოლეციტინი** უვნებელი საშუალებაა და ჭრგებს არა მარტო ავადმყოფობის დასაწყისს, არამედ ავადმყოფობის გაარჯლების შემდეგაც.

— **მოლეციტინი** მშვენივრად მოქმედებს ვერცხლის წყალით და სხვა პრეპარატებით სიფილისის წამლობის დროს დაუძლურებულებზე. აღადგენს ძალას, მადას ჰმატებს, ნერვებს ამშვიდებს, ტეხას და წელის ტკივილს სპობს.

— **მოლეციტინი** სპობს უძილობას, ყრუობას, ყურებში წივილს, ნევრალგიურ ტკივილებს, სუნთქვის შეკვრას, აჩერებს თმის ცვენას.

— **მოლეციტინი** კარგად მოქმედებს ნერვების აშლილობაზე საზოგადოდ და უმთავრესად ქალების ავადმყოფობაზე.

— **მოლეციტინი** ჭრგებს აგრეთვე სპაზმოფილის ასტმატიურ მოვლენების დროს და საზოგადოდ ნერვიულ ავადმყოფობის დროსა.

— **მოლეციტინი** კარგად მოქმედებს აგრედვე ქალების თვიურეების მოსპობის დროს და ანელებს გულის ფრიალს, თავსბრუ ხვევას, ოფლიანობას, უძილობას.

— **მოლეციტინი** ჰშველის ორსულობის დროს, სპობს უგუნებობას (რაიც ძლიერ ხშირია) და გულის რევასა.

— **მოლეციტინი** კარგად მოქმედებს ონანისტებსა და სქესობრივად **უძლურებზედ.**

— **მოლეციტინი** მარგებელია როგორც დიდებისათვის, ისე **ბავშვებისათვის.**

— **მოლეციტინი** ჩქარა იკარგება ორგანიზმში და არ მოქმედებს **კუჭზე.**

— **მოლეციტინი** ძლიერ ადვილი სახმარი წამალია, ყველას **შეუძლიან** დამოუკიდებლად იწამლოს ყველგან, სადაც უნდა იყოს.

თითო კოლოფის ფასი 3 მან. სრული კურსი წამლობისა საჭიროებს 5-დან 10 კოლოფამდე. იგზავნება ფასდადებით 5 მან. ბეის მიღების შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ **რ. ი. შმიდტთან.** Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12 отд. 3. თბინვალის ქუჩა № 12. მე-2 **სან.** უბანი გოლოვინის პროსპ. მამადავითის ქუჩის ახლოს.

(თ.)

თევზის მრეწველნი
ამ. ალეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და **სავაჭრო** სახლ. **„ლ. მაილოვის-შვილ,** სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა,** მცირე მარილიანი, შავი **„მეშოჩნი“** ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო საღლიანის **შამაიები** მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება“ კალანდაძისა, გიმაზიის შესახვევი № 4.